ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 1 ივლისი, 2019 №153 (8107) ფასი: 60 თეთრი

გვ.6

ლარის კურსზე პასუხისმგებელია ეროვნული ბანკი, პარლამენტი და მთავრობის ეკონომიკური გუნდი

25 ივნისიდან

ჟიულ ვერნი

20 000 ლიე წყალქვეშ

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

„ირაკლი კობახიძე ოთახში ჩაიკეტა და რამდენიმე საათი არ გამოდიოდა“

„2020 წელს „ოცნება“ და ნაციონალები პოლიტიკურ მოუსავლეთში წავლენ“

გვ.2



გიგლა ბარამიძე: „არა ქოცები, არა ნაცები, არამედ რაღაც სხვა“

გახარიამ ივანიშვილს ჩუბინიძის მაკომპრომეტირებელი მასალები გადასცა

გვ.4

ხათუნა ლაგაზიძე: „კობახიძე „ოცნებისთვის“ შავი მუშა იყო, გახარია კი ღერძია და ამიტომ არ თმობენ“

გვ.3

დავით ჭიჭინაძე: „სად გაქრა გახარიას ცინიზმი?! რატომ არ არის ხუმრობის ხასიათზე?!“

გვ.4

სამართალი გვ.7

მასობრივი ჩხუბი ბავშვთა პენიტენციარულ დაწესებულებაში

დაჭრილია 1 მსჯავრდებული

იზა ქავთარაძის გარდაცვალების გამო მილანში აფრიკელი მოჰამედ კაგბო დააკავეს



სენაკში მდინარეში მამა და მისი პატარა გოგონა დაიხრჩვნენ

ეკონომიკა გვ.6

„რუსული ტურიზმი ერთ მეოთხედს წარმოადგენს. ეს არ არის ჩვენი შეგნებული პოლიტიკის შედეგი“

ლადო პაპავა: „ესტონური მოდელი ესტონეთისთვის კარგია, საქართველოსთვის კი — დამღუპველი“

გვ.5

სახელმწიფო სტრუქტურებში ქრთამის აღების ფაქტები 56.52%-ით გაიზარდა

გვ.5

ISSN 1987-9385

5 თბილისის აქციებში ბიზნესმენ კოლომოისკის სახელიც გარიეს

3 თამარ ჩუგოშვილი: „ქართულ ოცნებას“ პროპორციული სისტემისთვის საპარლამენტო ოპოზიციის ხმები დასჭირდება“

7 ქართველი ექთანი საბერძნეთში საავადმყოფოდან გადახტა და დაიღუპა

8 ევროპაში მაღალი ტემპერატურის გამო 8 ადამიანი გარდაიცვალა

„ირაკლი კობახიძე ოთახში ჩაიკეტა და რამდენიმე საათი არ გამოდიოდა“

„2020 წელს „ოცნება“ და ნაციონალები პოლიტიკურ მოუსავლეთში წავლენ“

შორენა მარსაგიშვილი

რა შეცდომები დაუშვა „ოცნებამ“, რა შემთხვევაში შეიძლება მათი და ნაციონალების პოლიტიკურ მოუსავლეთში გაშვება, რატომ ჩაიკეტა ოთახში პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, რატომ გვერევა ერთმანეთში მონობა და დემოკრატია? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „ერთიანი საქართველოს“ გენერალური მდივანი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

გიგლა ბარამიძე:

– შექმნილ ვითარებას რომ ვუყურებ, ერთი ასეთი ანალოგია წამომიტივტივდა. ჩვ. წ. აღ-მდე სალამინის საზღვაო ბრძოლაში, ბერძნებმა თემისტოკლეს მეთაურობის სასტიკად დაამარცხეს სპარსელები, რის შემდეგაც ქსერქსემ თავის მსახურს უთხრა, რომ ყოველ სადილზე შემახსენე – გახსოვდეს ელადა.

მინდა მივმართო „ქართულ ოცნებას“ – დაგავიწყდათ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, დაგავიწყდათ სამართლიანობის აღდგენა, დაგავიწყდათ, რომ ხალხისთვის ცხოვრების პირობები უნდა გაგეუმჯობესებინათ, დაგავიწყდათ, რომ სამართლიანი მართლმსაჯულების სისტემა შეგექმნათ, მაგრამ ავსტრალიელი ველური ტომების ბუმერანგის პრინციპი მაინც როგორ არ გახსოვთ? რამ დაგავიწყათ, რომ რასაც დასთეს, იმას მოიმკი?

სწორედ ბუმერანგის პრინციპით დაუბრუნდათ უკან კოჰაბიტაცია. იმედია, ახლა მაინც ხვდებიან, რომ ძალიან დიდი შეცდომა დაუშვეს, როცა არც 26 მაისი და არც 7 ნოემბრის დარბევები ბოლომდე არ გამოუძიეს.

– თქვენი აზრით, ეს დარბევები რომ გამოეძიებინათ, აღარ იქნებოდა სისხლიანი 20 ივნისი?

– სისხლიანი 20 ივნისი შეიძლება მაინც დამდგარიყო, მაგრამ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებსაც ამდენი უბედურება აქვთ ჩადენილი, ჩვენი საამაყო ახალგაზრდების გვერდით არ იდგებოდნენ.

ძალიან კარგი სანახავია, როცა ახალგაზრდები დგანან მიტინგებზე, მათი სიმამაცე და თავდადება პატივისცემას იწვევს, მაგრამ, ამავე დროს, საშინლად დამთრგუნველია როცა ამ მიტინგის თავში და ბოლოში იმ პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები ჩნდებიან, რომელთა სინდის-ნამუსზეა უამრავი ადამიანის დასახიჩრება და წამება.

ჩვენს დღეს ვიმყოფებით ტრაგიკომიკურ ვითარებაში. გამიგია სოფოკლეს ტრაგედიები, გამიგია მოლიერის კომედია, მაგრამ, როდესაც ადამიანის უფლებებზე 26 მაისის და 7 ნოემბრის დარბევების შემოქმედნი გელაპარაკებიან, ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება.

ტრაგიკომედიაა, ასევე, როდესაც სანდრა რულოვსის თანაშემწე ინიშნება პარლამენტის თავმჯდომარედ. მანამდე ადეიშვილის სამჭედლოში გამოწრთობილი ქალბატონი დანიშნეს სახელმწიფო ინსპექციის უფროსად.

ასევე ტრაგიკომედია იყო, როდესაც პარლამენტის წინა თავმჯდომარის გადადგომის შესახებ განცხადება დედაქალაქის მერმა გააკეთა. არაადეკვატურობის ზეიმი იყო ის, რაც მაშინ ირაკლი კობახიძემ მოიმოქმედა. როდესაც მისი გადადგომა გადაწყდა, ეს ახალგაზრდა ოთახში ჩაიკეტა და რამდენიმე საათი იქიდან ვერ გამოჰყავდათ. აი, მაშინ გახდა კახა კალაძე იძულებული, სპიკერის გადადგომაზე თავად გაეკეთებინა განცხადება.

როდესაც ასეთი რაღაცები ხდება და ამას ჩვეულებრივ ამბად მივიჩნევთ, მაშინ ნუღარ გვიკვირს ის, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები აღარ არსებობს.

ტრაგიკომედიაა, როცა მთელი ლიბერტალიანური მიმართულებაა „ოცნებაში“ იმაზე სამუშაოდ, თუ როგორ უნდა ჩამოიშალოს სახელმწიფო ინსტიტუტები. ამას ყველაფერს თავად ხელისუფლება უწყობს ხელს.

ამათ შემხედვარეს, უნებურად ორი მაგალითი გამახსენდა ისტორიიდან. როდესაც ბიზანტიის იმპერია ანუ კონსტანტინეპოლი 1453 წელს დაეცა, მისი დამცველი, იცით, რამდენი იყო? მთელ ამ ქალაქ-სახელმწიფოში მხოლოდ 4.500-დან 6.000-მდე მეომარი ძლივს შეიკრიბა.

იცით, რატომ ვერ შეიკრიბა ამაზე მეტი მეომარი? იქ ისე იყო გახრწნილი სახელმწიფო ინსტიტუტები, რომ ჯარიც კი არ ჰყავდათ ნორმალური.

მაშინ ლიბერტალიანობა ჯერ კიდევ არ არსებობდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მთელი რიგი მიმართულებები იყო. ბიზანტიის სახელმწიფო ისე იყო ფუფუნებაში და კორუფციაში ჩაფლული, რომ ტრადიციებზეც კი უარს ამბობდნენ, ამბობდნენ, რად გვინდა რელიგია, ჩვენ უარს ვამბობთ ღმერთებზე, ქრისტიანებს გვინდა მრავალცოლიანობა. რა საჭიროა ჯარი, მთავარია, ვიყოთ მდიდრები.

ბარემ ისიც ვთქვათ, ვინ დაანგრია კონსტანტინეპოლი. ეს ქალაქი-ციხესიმაგრე გარედან ძალიან გამაგრებული იყო და ოსმანთა ურდოები შიგ ვერაფრით ვერ შეცვივდნენ. მერე მათ გამოიყენეს უნგრელი ქრისტიანი არქიტექტორის, ურბანის აგებული ქვემეხი, რომელიც 12 მეტრის სიგრძის იყო და 500 კილოგრამი სიმძიმის რკინის ჭურვების სროლა შეეძლო.

„ახლა რომ გვეუბნება ხელისუფლება, 20 ივნისის ღამეს პარლამენტის შენობის შტურმით აღება იგეგმებოდაო, აქამდე სად იყვნენ? ყველას საუბრებს იწერენ და ეგ რატომ ვერ გაარკვიეს, რომ, როგორც თავად ამბობენ, შტურმი იგეგმებოდა?“

ერთ-ერთმა ჭურვმა შეანგრია ეს კედელი და 200.000-იანი ურდო იქიდან შევარდა. მათთვის წინააღმდეგობის გამწევი არავინ იყო და მეჰმედ მეორის ურდოებმა იქაურობა სულ ააოხრეს.

ამ ამბამდე ცოტა ხნით ადრე ურბანი კონსტანტინეპოლის მმართველთან მივიდა და უთხრა, ადრე თუ გვიან მოგიწევთ თავის დაცვა და ჩემი ინჟინრებით გამომიყენეთო. პასუხად რა უთხრეს კორუფციაში ჩაფლულმა ბიზანტიელებმა – ჩვენ ამდენ ფულს სამხედრო ძლიერებისთვის ვერ დავხარჯავთ, არ გვჭირდებიო.

წავიდა ურბანი სულთანთან და მისი ცოდნა ბუმერანგივით შეუტრიალდა კონსტანტინეპოლს.

დაახლოებით ასევე იყო გახრწნილი ფინიკიის სახელმწიფო. მათი მხედართმთავარი ჰანიბალი რომაელ დამპყრობლებს თავდაუზოგავად ებრძოდა. ერთხელაც მან მდიდარ ფინიკიელ ვაჭრებს დახმარება სთხოვა. მათგან უარი მიიღო, უთხრეს, შენ გარეშეც კარგად ვივაჭრებთ რომთანო.

მართლაც ივაჭრეს რომთან, გაყიდეს ფინიკია, მაგრამ რა მიიღეს? რომაელებმა ფინიკია მიწასთან გაასწორეს. მიწასთან გაასწორეს ის ფინიკიელი ვაჭრებიც, რომლებმაც ჰანიბალს დახმარებაზე უარი უთხრეს.

ბიზანტიისა და ფინიკიის ამბები ბევრ რამეზე მეტყველებს, პირველ რიგში, იმაზე, რომ როდესაც სახელმწიფო აზროვნება კორუფციაში ჩაიხრჩობა, როცა რაღაც გაურკვეველი იდეით შენვე ხრწნი სახელმწიფო ინსტიტუტებს, ქვეყანა თავზე დაგვენგრევა.

– გინდათ თქვათ, რომ ახლა ჩვენ სახელმწიფო გვენგრევა თავზე?

– აბა რა ხდება. ყველანი ვხედავთ, რომ ამ გზას ვადგავართ. ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან „ოცნებამ“ უამრავი შეცდომა დაუშვა და უამრავი სისულელე ჩაიდინა. ახლა ეს ყველაფერი ბუმერანგის პრინციპით უკან უბრუნდება. სამწუხაროა, რომ ეს ბუმერანგი, „ოცნებასთან“ ერთად, სახელმწიფოსაც ხვდება.

– სისულელეები აკეთესო, ამბობთ და სისულელეებს არც ახლა აკლებენ. წინა კვირას პრემიერმა ისეთი განცხადებები აკეთა, ქვეყანა სახტად დატოვა. იმაზე არაფერს ვამბობ, დარბევამდე 7 წუთით ადრე რომ იძახდა, ჩვენი ხელისუფლება რეზინის ტყვიებს და ცრემლსადენ გაზს არ გამოიყენებსო.

– ესეც იმ ოპერიდან არის, რომელზეც ზემოთ გესაუბრეთ. როგორ შეიძლება, პრემიერს არ სცოდნოდა, დარბევაზე ცრემლსადენი გაზი რომ იქნებოდა გამოყენებული. თუ არ იცოდა, ეს კიდევ ცალკე უბედურებაა.

– პრემიერმა განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებლობა მიხეილ სააკაშვილს დააკისრა. ამაზე რას იტყვით?

– მიშას თავისი ტვირთიც ეყოფა და ამას ნუ დავაბრალებთ, მაგრამ, რადგან ამ ადამიანს ახსენებენ, მინდა ვკითხო ხელისუფლებას, რატომ არ არს ის აქამდე დაკავებული?!

რატომ არ არიან პასუხისგებაში მიცემული მისი ხელისბიჭები, რომლებიც ახლა ოფიციალური მილიონერები არიან? იქნებ ისიც აგვიხსნან, რატომ შეწყდა მათზე ძებნა?!

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ის, რასაც ახლა „ოცნება“ იმკის, არის ბუმერანგის პრინციპი. მთელი 7 წელი სისულელეები აკეთეს და ახლა ეს ხვდებათ კბილებში მწარედ.

როდესაც უვიც და გამოუცდელ ადამიანებს ნიშნავ პრემიერებად, ხომ უნდა იცოდე, რომ ის სისულელეს ჩაიდენს ან იტყვის.

ახლა რომ გვეუბნება ხელისუფლება, 20 ივნისის ღამეს პარლამენტის შენობის შტურმით აღება იგეგმებოდაო, აქამდე სად იყვნენ? ყველას საუბრებს იწერენ და ეგ რატომ ვერ გაარკვიეს, რომ, როგორც თავად ამბობენ, შტურმი იგეგმებოდა?

– პარლამენტის წინ მიმდინარე აქციებმა რაღაცა შედეგი გამოიღო. ხელისუფლება მზად არის, 2020 წელს არჩევნები პროპორციული სისტემით ჩაატაროს. ოპოზიციის ნაწილმა ეს დადებითად შეაფასა. თქვენი პარტია რას ფიქრობს ამაზე?

– ეს არის ერთადერთი ნორმალური გადაწყვეტილება, რომელსაც ჩვენი პარტია მხარს უჭერს. „ქართულ ოცნებას“ პროპორციულ სისტემაზე გადასვლა 2024 წლისთვის უნდოდა, მაგრამ ახალგაზრდების პროტესტმა თავისი შედეგი გამოიღო. „ოცნება“ მიხვდა, რომ 2024 წლამდე ვერ გაქაჩავდა და დათმობაზე ამიტომ წავიდა.

პროპორციულ სისტემაზე გადასვლა იძლევა იმის საშუალებას, რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ ის ძალები, რომლებსაც ნამდვილად შეუძლიათ სამართლიანობის აღდგენა.

ეს ძალები პარლამენტში თუ მოხვდებიან, აუცილებლად დასრულდება „ოცნებისა“ და ნაცების კოჰაბიტირებული შეხმატკბილებული ცხოვრება.

– „ოცნება“ ახლა ამბობს, რომ ნაციონალებთან კოჰაბიტაცია შეცდომა იყოო?

– ახლა ისინი იმეორებენ იმას, რასაც ჩვენ 2013 წლიდან ვეუბნებით. აქამდე გვიმტკიცებდნენ, რომ კოჰაბიტაცია ქართული დემოკრატისთვის იყო აუცილებელი. კარგია, იმას მაინც თუ მიხვდნენ, რომ შეცდომა დაუშვეს.

– ამბობენ, კოჰაბიტაცია შეცდომაა, მაგრამ სპიკერად, როგორც ზევით აღნიშნეთ, სანდრა რულოვსის თანაშემწე თალაკვაძე დანიშნეს, რომელიც კირკიტაძის მარჯვენა ხელიც იყო.

– ეს საერთოდ ანეკდოტია. როგორ შეიძლება, არჩილ თალაკვაძე იყოს პარლამენტის თავმჯდომარე?! ესეც მათი მორიგი შეცდომაა, მაგრამ სხვა გზაც არ აქვთ – კადრები არ ჰყავთ.

ამ კადრებთან დაკავშირებითაც არაერთხელ მივმართეთ ხელისუფლებას. არც მაშინ მოგვისმინეს და ამიტომაც არიან ასეთ შავ დღეში.

ახლა ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება არ მოხდეს. ხმამაღლა ვამბობ, რომ ამ ხელისუფლების დაუძინებელი ოპოზიცია ვართ, მაგრამ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე როგორმე უნდა მივიდეთ.

გიგლა ბარამიძე: „არა ქოცები, არა ნაცები, არამედ რაღაც სხვა“

ასევე მიგვაჩნია, რომ არ უნდა მოხდეს სახელმწიფო ინსტიტუტების ნგრევა. ეს უწყებები ისედაც ჩამოშლილია და დამატებით რყევებს ვერ გაუძლებს.

ჩემი ეს განცხადება ვიღაცამ შეიძლება ხელისუფლების მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებად მიიღოს, რაც ასე არ არის. ჩვენ ვართ შეურიგებელი ოპოზიცია და, ბევრი სხვა პარტიისგან განსხვავებით, არც ამ და არც წინა მთავრობასთან გარიგებაში არ შევსულვართ.

– ვინ გაურიგდა მთავრობას?

– ბევრი და ამის არაერთი მაგალითი არსებობს. ვიმეორებ, ახლა მთავარია, 2020 წლამდე მშვიდობიანად მივიდეთ. პროპორციული სისტემა იძლევა იმის საშუალებას, რომ 2020 წელს ნაცებიც და ქოცებიც პოლიტიკურ მოუსავლეთში გავუშვათ.

ამ ორი ძალის მიმართ ხალხს აქვს მიუღებლობა. ეს დამოკიდებულება ტერენტი გრანელის ლექსს მაგონებს, სადაც პოეტი ამბობს – „არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა“. შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე ასეთი რამ შეიძლება ითქვას – არა ქოცები, არა ნაცები, არამედ რაღაც სხვა.

როდესაც კოჰაბიტირებულები პოლიტიკურ მოუსავლეთში წავლენ, კეთილი უნდა ვინებოთ და სამართლიანი და დემოკრატიული სახელმწიფო ავაშენოთ.

ფსიქიკით არ უნდა დავემსგავსოთ იმ მონებს, რომლებსაც თავისუფლება კი არ სურთ, არამედ უნდათ, რომ თავად ჰყავდეთ მონები, ხოლო თუ ასეა, მაშინ რა განსხვავებაა ჩვენსა და ჩვ. წ. აღ-მდე არსებულ ათენის დემოკრატიულ-მონათმფლობელურ რესპუბლიკას შორის. იქ, ერთი მხრივ, დემოკრატიას ქადაგებდნენ და, მეორე მხრივ, ჰყავდათ მონები.

დღეს ჩვენთანაც ასეთი სიტუაციაა. დემოკრატიზმი სხვების დასანახად გვინდა, სინამდვილეში კი მონური ფსიქიკით ვცხოვრობთ.

ეს სოციალური ქსელებიდანაც ნათლად ჩანს. ადამიანები ეძებენ მესიას, უნდათ, რომ მას ხელზე ემთხვიონ და ფეხზე აკოცონ. ასეთი ფსიქიკით ნორმალურ ქვეყანას ვერ ავაშენებთ.

ამ ფსიქიკის შეცვლას დრო დასჭირდება. ნაცებისა და ქოცების დასრულება 2020 წელს შეიძლება, ოღონდ მანამდე არჩევნებამდე უნდა მივაღწიოთ. იმედია, მანამდე ხელისუფლება ისეთს არაფერს ჩაიდენს, რომ ქვეყანა თავზე დაგვემხოს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ხათუნა ლაგაზიძე: „კობახიძე „ოცნებისთვის“ შავი მუშა იყო, გახარია კი ლერძია და ამიტომ არ თმობენ“

იაგო ნაცვლიშვილი

რატომ გაიმეტა კობახიძე და ვერ ელევა „ქართული ოცნება“ გახარიას, რა კითხვებზე უნდა გასცეს პასუხები გამოძიებამ და რას მოიტანს პროპორციული არჩევნები? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე საუბრობს.

– გახარია არ ამბობს, გასცა თუ არა აქციის დაშლის ბრძანება თავად და გვეუბნება, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ გასცაო. რა გითხრათ თქვენ ამ განცხადებებმა?

– რთულია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ოპოზიციური ლიდერებისგან იყო ვერსიები და ვარაუდები, რომ გახარია პროცესებს ჩამოშორებული იყო და ბრძანებებს სხვა გასცემდა. ასევე ის, რომ გახარია თავს არიდებდა ჟურნალისტებთან შეხვედრისას კითხვებს, ამბობდა, რომ პასუხისმგებლობას თავად იღებს, მაგრამ არ თქვა, ვინ გასცა ბრძანება.

ასევე გვაქვს წულუკიანის ფრაზა, რომ რამდენიმე ბრძანება იყო გაცემული, ვოლსკი გვეუბნება, მიკვირს, გახარია რატომ არ ამბობს, რომ ეს მის მიერ გაცემული ბრძანება�ა.

ეს ურთიერთგამომრიცხავი შეფასებები, რაც „ოცნებას“ ახასიათებს ხოლმე ყველა შემთხვევაში, კითხვის ნიშნებს აჩენს, მაგრამ ეს ფრაზები ვერ გვაძლევს საშუალებას, რომ რაღაცა ვამტკიცოთ.

ზუსტად იმ დროს, როცა პრემიერი პირდაპირ ეთერში ამბობდა, რომ „ოცნების“ ხელწერა არ არის ტყვიების გამოყენება, იმავე პირდაპირ ეთერში, პარალელურ რეჟიმში იწყებოდა მიტინგის დაშლა.

„უბარიერო სისტემა რაც უნდა ვაკრიტიკოთ, ფაქტია, რომ ეს ხელს შეუწყობს ახალი ძალების გამოყვანას ასპარეზზე. მათ შორის, ეს არის ღია კარი ქართულ პოლიტიკაში იმ თაობისთვის, რომელიც ქუჩაში დგას და ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის იბრძვის და მესამე, ეს არის იმ ორი მონსტრი პარტიის – ნაციონალური მოძრაობისა და „ქართული ოცნების“ დასასრულის დასაწყისი, რომლის დაპირისპირებასაც დღეს ქვეყანა ეწირება“

– ეს რას ნიშნავს თქვენთვის, მაშინ როცა პრემიერი ასეთ განცხადებას აკეთებს და უცბად იწყება მიტინგის დარბევა?

– ეს ყველაფერი აჩენს კითხვის ნიშნებს, ვინ იყო იქ ხელმძღვანელი, ფაქტია, პრემიერი არ ყოფილა. ქვეყანაში არსებობს უსაფრთხოების საბჭო, თუ ასეთ ვითარებაში არ იკრიბება ის, მაშინ როდისღა უნდა შეიკრიბოს?! იყო სერიოზული კრიზისი და გარეთ მრავალათასიანი მიტინგი. სწორედ ამ სიტუაციაში უნდა იყოს ოპერატიული მოქმედება.

პროცედურულად პრემიერს უსაფრთხოების საბჭო უნდა მოეწვია და ამ ფორმატში უნდა გაეწიათ ორგანიზება მიტინგის დაშლისთვის, რომლის ნაწილიც ცდილობდა პარლამენტში ძალისმიერი მეთოდებით შეღწევას.

საბჭოს თავმჯდომარეა პრემიერი, მდივანი – გახარია, დანარჩენი ძალოვანი უწყების პირველი პირები – წევრები. ასე რომ მომხდარიყო, არ გაჩნდებოდა კითხვები და გვეცოდინებოდა პასუხისმგებელი პირები.

ქვეყანას არ აქვს უსაფრთხოების სისტემის არქიტექტურა. რატომ არ იყო რისკები დათვლილი იმავე პანკისისა თუ დავითგარეჯის შემთხვევაში და ახლა უკვე ამ ძალიან კრიტიკულ სიტუაციაში?! თუნდაც იმ ვითარებაში, როცა ჯერ პრეზიდენტის სასახლეში და შემდეგ უკვე პარლამენტში გავრილოვის ასეთი ფეშენებელური მიღება იგეგმებოდა, რატომ არ იყო მაშინ რისკები და საფრთხეები დათვლილი?!

ხელისუფლებას რისკები რომ გაეთვალა, გავრილოვი იმ სავარძელში არ მოხვდებოდა, ვისი დავალებითაც არ უნდა ყოფილიყო ეს დაგეგმილი.

– კობახიძე არ იყო „ოცნებისთვის“ უმნიშვნელო ფიგურა და საკმაოდ იოლად შეელივნენ მას, მაგრამ ვერაფრით თმობენ გახარიას. ეს მისი ფაქტორიდან გამომდინარეობს თუ უფრო სერიოზულ რამესთან გვაქვს საქმე?

– კობახიძე არასდროს ყოფილა სერიოზული ფიგურა და ის ყოველთვის იყო შავი მუშა და გამტარი ისეთი საქმეების, რომლებზე ხელის მოსაწერადაც მოიყვანეს ის. ეს იყო ადამიანი, რომელიც ყოველთვის ყველაფერზე თანხმდებოდა და არანაირი მორალური ღირებულებები არ ჰქონდა. ამასთან, მოსამართლეების თემის შემდეგ მისი რეიტინგი ნულს ქვემოთ იყო, ამიტომ მისი შელევა პრობლემას არ წარმოადგენდა. უფრო მეტიც, ის რომ პირველივე დღეს დაეთმოთ, შეიძლებოდა პროცესების ასეთი გამწვავების თავიდან არიდება.

„ოცნების“ პრობლემათაგან ერთ-ერთი ის არის, რომ მას არ აქვს დროის შეგრძნება, მაშინ როცა პოლიტიკაში დროის და სივრცის შეგრძნებას ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ერთი დღით დაგვიანება უკვე არაადეკვატურობად ჩაითვალა.

ასევე დაგვიანეს დაკავებულების გამოშვება და პროპორციული არჩევნების გამოცხადება. შედეგად, ის, რაც პლუსად შეიძლებოდა ჩაეწერათ, ფაქტობრივად, მის მარცხად გაფორმდა.

გახარიას იმიტომ არ ელევიან, რომ თვლიან, რომ მისი გვერდზე გაწევით არ გაჩერდება მომიტინგეთა მოთხოვნები. ამბობენ, ამით დავიშლებითო, მაგრამ „ოცნებაში“ ფიქრობენ, რომ თუ ამ დათმობაზე წავიდნენ, მათ მოუწევთ დათმობათა მთელ ჯაჭვში ჩაბმა, მით უმეტეს, რომ გახარია აქამდე ხელისუფლებაში ყველაზე ძლიერ ფიგურად მიიჩნეოდა. ამ ფიგურის შეწირვა შეიძლება ტრაგიკულად შეუბრუნდეს მას – როგორც ჩანს, ასეთია „ოცნების“ აზრი.

ცუდი ასოციაციებია შს მინისტრის გადადგომასთან დაკავშირებით: შევარდნაძის ხელისუფლების ჩამოშლა კახა თარგამაძის გადაყენებით დაიწყო, ისევე როგორც მერაბიშვილის გადაყვანით პრემიერის პოსტზე სააკაშვილის ხელისუფლების ჩამოშლას დაედო სათავე.

როგორც ჩანს, ეს ცუდი ასოციაციები „ოცნებისთვის“ თავის საქმეს ასრულებს და ამიტომაც ვერ ელევიან.

– ალბათ ძლიერ ფიგურებზე საუბრობთ, თორემ გვახსოვს „ოცნების“ მთავრობაშიც არაერთი შს მინისტრის შეცვლა.

– ზუსტად. მოდი, ასე ვთქვათ, ეს ფიგურები იყვნენ იმ ხელისუფლების ღერძები, რომლებსაც წარმოადგენდნენ – მათზე იგებოდა ძალოვანი ვერტიკალი. გახარია ამ ტრაგიკულ დღემდე სწორედ ასეთ ფიგურად მიიჩნეოდა „ქართული ოცნებისთვის“.

– „იმედმა“ შემოგვთავაზა აქციაზე და იმ ვითარებაზე ფილმი, იყო კადრები, როგორ ექცევიან აწყობდნენ მომიტინგეები, როგორ გადააბრუნეს მანქანას და ა.შ. ხომ არ ელოდებით თავისმართლების ახალ სცენარებსაც, მაგალითად, აუდიოჩანაწერების გამოგდებას და ა.შ?

– რასაც ვუყურეთ, პარლამენტში ძალისმიერი გზით შეღწევის მცდელობასთან გვქონდა საქმე. მაგრამ გამოძიებამ უნდა უპასუხოს კითხვებს – ეს იყო სპონტანური, მართული, ვინ მონაწილეობდა ამაში, იყო წინასწარ ორგანიზებული თუ არა, წინასწარ მომზადებული ადამიანების სპეციალური ჯგუფები ჰყავდათ თუ არა გამოყვანილი.

„თუ „ოცნებას“ რაიმე ალღო შერჩენია, არჩევნები 2020-მდე უნდა მიიტანოს, მანამდე კი სასწრაფოდ რადიკალურ საკადრო ცვლილებებზე უნდა წავიდეს, თუ კიდევ ვინმე მათთან თანამშრომლობაზე დაითანხმა“

ამ კითხვებს პასუხები უნდა გაეცეს, სხვაგვარად სახელმწიფო ვერ გვექნება. მაგრამ, მე რასაც ვუყურე კადრებს „იმედზე“, იმ კადრებში ნამდვილად არ ჩანდნენ ის ადამიანები, რომლებიც აქციის ორგანიზატორები იყვნენ. ამიტომ გასამიჯნია პარლამენტში შეჭრის მცდელობის დროს ვითარება და შემდეგ მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევა.

– მაშინ კადრების გავრცელება რას ემსახურებოდა?

– იმას, რომ ხალხმა ნახოს, რასთან გვქონდა საქმე. მაგრამ აქციის დაშლა ერთია და დარბევა – მეორე: ერთია აქციის დაშლა, უფრო სწორად, პარლამენტში ძალადობრივი შეღწევის მცდელობის აღკვეთა, რაც პოლიციის პირდაპირი მოვალეობა იყო. ხოლო, მეორე ნაწილი იყო დარბევა, პრაქტიკულად მომავალი თაობის დევნა, თვალების დათხრა და დაუნდობელი მეთოდებით მშვიდობიან მომიტინგეებთან გასწორება არასაჭირო დროს და არასაჭირო მეთოდებით, დამიზნებით სროლა, დევნა და ახალგაზრდებზე ნადირობა.

– აქციის დაშლა შემდეგ უკვე სადამსჯელო ოპერაციაში გადაიზარდა?

– ზუსტად. ორი სხვადასხვა ოპერაცია იყო და მეორე სადამსჯელო ოპერაციის დროს სადამსჯელო რაზმები გავეშებულები იყვნენ. სახეზეც ვინც ჩანდნენ, ცხოველურ სიამოვნებას იღებდნენ იმით, რასაც აკეთებდნენ. საბოლოო ჯამში, დევნის ობიექტები აბსოლუტურად უდანაშაულო ხალხი გახდა, ვინც ქუჩაში საკუთარი ქვეყნის დასაცავად გავიდა.

გახარიამაც თქვა, რომ ტყვიების გამოყენება იყო ლეგიტიმური, მაგრამ მნიშვნელობა აქვს, რა მანძილიდან ისვრიო, იმიტომ, რომ ერთი და იგივე საგანმა შეიძლება მოკლას ადამიანი თუ, ვთქვათ, 5 მეტრიდან ესვრი ტყვიას ადამიანს, მაგრამ 100 მეტრიდან ნასროლმა ნაკაწრიც არ დაგიტოვოს.

დაშავებულების რიცხვში ჟურნალისტების პროპორცია იმდენად მაღალია, რომ აქაც ჩნდება ეჭვი, შეგნებულად ხომ არ ხდებოდა ჟურნალისტების დევნა და მათი დასახიჩრება. ამიტომ მივმართე ჟურნალისტებს, რომ მოწმეებმა მოითხოვონ დაკითხვა, რა და როგორ ხდებოდა. იმიტომ კი არა, რომ პრივილეგირებულია ვინმე, არამედ იმიტომ, რომ დადგინდეს, ხომ არ იყო ერთ-ერთი ბრძანება ესეც. გავიხსენოთ, წულუკიანმა თქვა, რომ რამდენიმე ბრძანება იყო გაცემული.

7 წელი ქვეყანაში ეკონომიკური ვითარება მძიმდებოდა, მაგრამ ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევებს საზოგადოება ვერ ხედავდა და სწორედ სახელმწიფო ძალადობისგან დაცულობისა და უსაფრთხოების განცდა ასოცირებული იყო „ქართული ოცნების“ მმართველობასთან.

20 ივნისის შემდეგ „ოცნების“ ეს იმიჯი დაინგრა. ხელისუფლება ან მიზანმიმართულად დასდევდა საკუთარ მოქალაქეებს, ან ვერ აკონტროლებდა საკუთარ ძალოვან უწყებებს. ორივე შემთხვევაში ხელისუფლებაა დამნაშავე. ამით გამოვიდა, რომ „ქართული ოცნება“ შლის ზღვრებს ნაციონალური მოძრაობის მმართველობასთან.

– ელოდებით უკრაინული „ვიკილიქსისა“ და მსგავსი გაურკვეველი წარმომავლობის საეჭვო ჩანაწერებს, რომ სააკაშვილი გეგმავდა დესტაბილიზაციას და ა.შ?

– მე არ ვიცი, რა იქნება თავდაცვით რეჟიმში გადასული და პანიკას ატანილი მეოცნებეების შემდეგი ნაბიჯი. მაგრამ დაბეჯითებით ვიცი, რომ საჭიროა, ვითარება მივიდეს 2020 წლამდე – პროპორციულ არჩევნებამდე და ივანიშვილის შეთავაზება აქციონ რეალობად.

უბარიერო სისტემა რაც უნდა ვაკრიტიკოთ, ფაქტია, რომ ეს ხელს შეუწყობს ახალი ძალების გამოყვანას ასპარეზზე. მათ შორის, ეს არის ღია კარი ქართულ პოლიტიკაში იმ თაობისთვის, რომელიც ქუჩაში დგას და ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის იბრძვის და მესამე, ეს არის იმ ორი მონსტრი პარტიის – ნაციონალური მოძრაობისა და „ქართული ოცნების“ დასასრულის დასაწყისი, რომლის დაპირისპირებასაც დღეს ქვეყანა ეწირება.

არაფერმა და არავინ უნდა შეუშალოს ხელი იმას, რომ პროპორციული არჩევნების იდეა კონსტიტუციის დონეზე, რაც შეიძლება სწრაფად აისახოს. სხვაგვარად ყოველგვარი „ვიკილიქსის“ გარეშე გაჩნდება იმის ფიქრის საფუძველი, რომ ნაცმოძრაობას არ აწყობს 2020 წელს არჩევნების ჩატარება, მისთვის ხელსაყრელია რევოლუციური სცენარი ან ამ სცენარის საფუძველზე ვადამდელი არჩევნების დანიშვნა.

ვადამდელი არჩევნები 2 დიდი პარტიის, „ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის ინტერესებზე ასხამს წყალს. „ოცნებაში“ ვადამდელი არჩევნების ლობისტებს კი ეს მოთხოვნა შეიძლება ძვირად დაუბრუნდეთ, იმიტომ რომ: 1. „ოცნების“ სიაში ყოფნის სურვილი არავის ექნება იმ ფონზე, რაც რამდენიმე დღის წინ 92 დეპუტატს დამართეს, მით უმეტეს მაჟორიტარებს, რომლებიც ძირითადად ადგილობრივი ბიზნესმენები არიან, ვის ექნება სურვილი, წელში გადატეხილ „ოცნებას“ დაუკავშიროს საკუთარი მომავალი?!; 2. რთული იქნება დემორალიზებული „ოცნების“ ადგილობრივი აქტივის მობილიზება საარჩევნოდ, მით უფრო, რომ მისი ნაწილი ყოფილი „ნაციონალია“; 3. და ეს ყველაფერი იმ ფონზე, როცა გაყალბებას, ფაქტობრივად, ვერ შეძლებენ.

თუ „ოცნებას“ რაიმე ალღო შერჩენია, არჩევნები 2020-მდე უნდა მიიტანოს, მანამდე კი სასწრაფოდ რადიკალურ საკადრო ცვლილებებზე უნდა წავიდეს, თუ კიდევ ვინმე მათთან თანამშრომლობაზე დაითანხმა.

„ოცნების“ საზოგადოებასთან ურთიერთობის პოლიტიკა მთელი 7 წლის განმავლობაში ხომ საერთოდ ნონსენსია: სად გინახავთ სხვა მმართველი პარტია, რომლის ხელისუფლებაში ყოფნა მხოლოდ მასზე უარესი კონკურენტი პარტიის არსებობაზე დგას და არა იმაზე, რომ რამე სასიკეთოს სთავაზობს ქვეყანას.

ასე დიდხანს ხელისუფლებაში ყოფნა ვერ გაგრძელდება და ეს თავის დროზე უნდა ეფიქრათ.

თამარ ჩუგოშვილი: „ქართულ ოცნებას“ პროპორციულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებული ცვლილებებისთვის საპარლამენტო ოპოზიციის ხმები დასჭირდება“

– „ქართულ ოცნებას“ პროპორციულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებული ცვლილებებისთვის დასჭირდება საპარლამენტო ოპოზიციის ხმები.

ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის პირველმა ვიცესპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა განაცხადა.

ჟურნალისტის კითხვაზე, აქვს თუ არა გარანტია, რომ უმრავლესობის ყველა წევრი დაუჭერს ცვლილებებს მხარს, ჩუგოშვილმა უპასუხა:

– არა, ამის გარანტია არ მაქვს, არც ერთ შემთხვევაში. რომც დაუჭიროს ყველა წევრმა, უმრავლესობას არ აქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა, „ქართული ოცნება“ მარტო ამ საკონსტიტუციო ცვლილებას ვერ გაიტანს და ამისთვის მას დასჭირდება საპარლამენტო ოპოზიციის ხმები. ანუ ეს არის ძალიან მარტივი მათემატიკა, რადგან საკონსტიტუციო ცვლილებებს სჭირდება 113-ზე მეტი ხმა, „ქართულ ოცნებას“ კი ამ ეტაპზე აქვს 106 ხმა. შესაბამისად, უბრალოდ არ იქნება. ყველამ რომც დაუჭიროს მხარი, მაინც არ გვეყოფა ხმები და მაინც დაგვჭირდება პოლიტიკური ოპონენტების მხრიდან კანონპროექტისთვის ხმის მიცემა.

რაც შეეხება უმრავლესობის წევრებს, არ გამოვრიცხავ , რომ რამდენიმე მათგანისთვის მიუღებელი იქნება საარჩევნო სისტემის შეცვლა. თქვენ იცით, რომ არსებობენ მაჟორიტარი დეპუტატები, რომლებისთვისაც მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა არის საჭირო, სწორი და მიაჩნიათ, რომ ის არის ქვეყნისთვის აუცილებელი. შესაბამისად, ვერავინ აიძულებს ადამიანს, რომ თავისი სურვილის წინააღმდეგ ხმა მისცეს, – განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა.

თაიმერი

„სად გაქრა გახარიას ცინიზმი?! რატომ არ არის ხუმრობის ხასიათზე?!“

დავით ჭიჭინაძე: „ხელისუფლებას მხოლოდ 2 გზა დარჩა“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, მოვლენების როგორ განვითარებას ელოდებით? გახარიამ თქვა, რომ თუ სისტემური დანაშაული გამოიკვეთება, ის ერთი წუთით არ გაჩერდება თანამდებობაზე.

– მკაფიოდ ვერ დავინახე, რომ გიორგი გახარიამ საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა და ის ამ პასუხისმგებლობას აცნობიერებს. მან ვერ გასცა მთავარ კითხვას პასუხი: ვინ გასცა ბრძანება, გამოდის, ვიღაცას ხელს აფარებს. ეს საკითხი ჯერჯერობით ღიად რჩება.

მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ როგორც განვითარდება მოვლენები, სწორედ ამაზე იქნება დამოკიდებული, შემდეგ ვინ როგორ იმოქმედებს. ეს უკვე ბიძინა ივანიშვილის სადარდებელია და არა – საზოგადოების.

– რას გულისხმობთ?

– ისეთი განცხადებები, რომლებიც არაფრისმთქმელია, ნიშნავს, რომ ეს ადამიანები უკანდასახევ გზას იტოვებენ. უნდა დაფიქრდეს ივანიშვილი, უღირს კი, ასეთ ადამიანებს დაეყრდნოს?!

– ამბობენ, რომ „ქართული ოცნება“ გახარიაზე დგას და ახლა მისი წასვლა პარტიის ჩამოშლას გამოიწვევს. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

– ასე იდგა თავის დროზე მერაბიშვილზე ნაციონალური მოძრაობა და გვეუბნებოდნენ, ხერხემალიაო, მაგრამ ვნახეთ, როგორ დაასრულა მერაბიშვილმა.

შინაგან საქმეთა მინისტრებისგან ქვეყნის ხერხემლის შექმნა იმთავითვე შეცდომაა. მე არ ვიზიარებ მოსაზრებას, რომ გახარია ძლიერი პიროვნებაა. თუ ძლიერი იქნებოდა, მაშინ პოლიცია არ ჩაიდენდა იმას, რაც ჩაიდინა, იმ გადაცდომებს ვგულისხმობ, რომლებმაც გამოიწვია ადამიანების დასახიჩრება.

სად გაქრა გახარიას ცინიზმი?! რატომ არ არის ხუმრობის ხასიათზე?! რატომ არ ეხუმრება ჟურნალისტებს?! თუმცა, მას შემდეგ, რაც იმ ღამეს ჟურნალისტებმა გადაიტანეს, ალბათ, გასაგებია ყველაფერი.

ამ კრიზისს ხელისუფლება, ალბათ, გადაიტანს, მაგრამ, იმდენად იქნება შიგნით მორღვეული ყველაფერი, იმდენად ექნებათ ერთმანეთის მიმართ უნდობლობა, იმდენად დაასუსტა ხელისუფლება ამ მოვლენებმა, რომ ასეთ ვითარებაში საერთოდ გუნდზე საუბარიც კი ზედმეტია.

– ნიკა მელიასთვის იმუნიტეტის შეჩერებაზე მინდა გკითხოთ. პარლამენტში რა განწყობაა დეპუტატებს შორის?

– ეს მართლაც იყო უპრეცედენტო გადაწყვეტილება. ეს არ იყო მარტივი გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილების შემდეგ ეს ადამიანები მეტ-ნაკლებად თავს მაინც დამნაშავედ გრძნობენ. რეალურად ამ ადამიანებმა მხარი ხომ სხვა ადამიანის დაჭერას დაუჭირეს!

ყოველი ასეთი გადაწყვეტილება ანგრევს მათ. ძალიან დიდი ზეწოლის ქვეშ მოხდა ამ გადაწყვეტილების მიღება. მე ამიტომ ვამბობ, რომ ეს არ იყო მარტივი გადაწყვეტილება.

– თქვენ გაქვთ ინფორმაცია, რომ გარკვეული დეპუტატები წინააღმდეგნი იყვნენ?

– დიახ. მე მაქვს ინფორმაცია, რომ ვიღაცებს არ უნდოდათ, ამ გადაწყვეტილებისთვის მხარი დაეჭირათ და ეს რომ მომხდარიყო. ზოგმა გაუძლო, ზოგმა ვერ გაუძლო. ღმერთმა დაიფაროს, რომ ჩვენი საზოგადოების ნაწილია ეს ხალხი და ყველა ასე აზროვნებდეს. ღმერთმა დაგვიფაროს კოლექტიური ზარდიაშვილებისგან. აღმოჩნდა, რომ მთლად ასეც არ არის.

მე ვიცი, რომ მათ შორის არიან დეპუტატები, რომლებიც ამ გადაწყვეტილებას ნანობენ, მაგრამ ყველას ვერ მოსთხოვ გმირობას. შიდა პროტესტი მათ ყოველთვის ექნებათ, ამაში დარწმუნებული ვარ.

– პროცესების კულმინაცია შეიძლება, ვადამდელი არჩევნები იყოს?

– ამ პარლამენტმა ხალხის თვალში, მისი გადაწყვეტილებებით, ავტორიტეტი დაკარგა. ამ პარლამენტს ავტორიტეტი არც არასდროს ჰქონია, მაგრამ ახლა უკვე საბოლოოდ დაკარგული აქვს ყველაფერი.

რაც მთავარია, ხალხის ნებას არ გამოხატავს, არადა, პარლამენტი წარმომადგენლობითი ორგანოა და სწორედ ხალხის აზრს უნდა გამოხატავდეს. ამიტომ, ავტომატურად უნდა მოხდეს პარლამენტის შემადგენლობის განახლება.

მე არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ ასე განვითარდეს მოვლენები და ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს. თუმცა, არ ვიცი, ვინ მოისურვებს „ქართული ოცნების“ რიგების შევსებას, რითაც არიან დღეს დაკავებული ამ პარტიაში.

თუ ვადამდელი არჩევნები არ დაინიშნა, არ გამოვრიცხავ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ უკვე პარლამენტში კულუარულ გარიგებებში ჩაითრიოს გარკვეული პარტიები და ახალი უმრავლესობა შეაკოწიწოს.

დღეს მხოლოდ ორი გზა არსებობს – რომელს აირჩევს ბიძინა ივანიშვილი, ამას მომავალი გვიჩვენებს.

– რა გზებზე საუბრობთ?

– ერთი – ახალი, სამართლიანი არჩევნები და პოლიტიკური ველის გაჯანსაღება და მეორე – არსებული ვითარების შენარჩუნება ყველაფრის ფასად.

გახარიამ ივანიშვილს ჩუბინიძის მაკომპრომეტირებელი მასალები გადასცა

შორენა მარსაგიშვილი

ცუდი დრო დაუდგა ბიძინა ივანიშვილს. ის, ფაქტობრივად, გამოუვალ მდგომარეობაშია – თუ მთავრობას სახლში გაუშვებს, რუსებს გაანაწყენებს, სხვანაირად მოქცევის შემთხვევაში კი ამერიკელებთან შეექმნება პრობლემები.

მის ამ უბედურებას მმართველ პარტიაში მიმდინარე დაპირისპირებაც ამძაფრებს. ამ დღეებში მთავრობა თუ არ გადადგა, შესაძლოა, დიდი საოცნებო სკანდალის მომსწრენი გავხდეთ.

20 ივნისიდან მოყოლებული, რუსთაველის გამზირზე აქციები არ წყდება. ახალგაზრდების მთავარი და უცვლელი მოთხოვნა შს მინისტრ გიორგი გახარიას გადადგომაა. ამ მოთხოვნას აუცილებლად დაემატება სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელის, ანზორ ჩუბინიძის, გადადგომის მოთხოვნაც.

20 ივნისის სისხლიან ღამეს რუსთაველის გამზირზე ჩუბინიძე იმყოფებოდა. იმავე დღეს გავრცელდა კადრები, სადაც ჩანს, თუ როგორ იძლევა ის მითითებებს.

მთელი ამ დღეების განმავლობაში არც ოპოზიციას და არც მედიას მისი გვარი არ უხსენებიათ. ხელისუფლება საერთოდ მდუმარებაში იყო ჩავარდნილი.

„ოცნებაში“ ყველამ კარგად იცის, რომ ანზორ ჩუბინიძე წლების განმავლობაში ბიძინა ივანიშვილის პირადი დაცვის უფროსი იყო. მმართველმა გუნდმა კარგად იცის ისიც, თუ როგორ ენდობა მას მთავარი მეოცნებე და ისიც ახსოვთ, თუ რა ძვირად დაუჯდა წლების წინ ირაკლი ღარიბაშვილს ჩუბინიძესთან უთანხმოება.

სახელმწიფო დაცვის სამსახური ჩუბინიძემ ივანიშვილის პრემიერობის დროს ჩაიბარა. მთავრობის მეთაურად ღარიბაშვილის დანიშვნის შემდეგ ის იძულებული გახდა, ეს სამსახური დაეტოვებინა.

როგორც მმართველ გუნდში ამბობენ, ივანიშვილსა და ღარიბაშვილს შორის დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი ჩუბინიძეა, რომელიც პრემიერობიდან ღარიბაშვილის ჩამოლაბორანტების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ძველ სამსახურს.

ახლა ქვეყნის პირველი მცველი შეიძლება შს მინისტრისა და მთავარი მეოცნების დაპირისპირების მიზეზი გახდეს.

როგორც „ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, გახარიამ მოითხოვა, რომ 20 ივნისზე მასთან ერთად ჩუბინიძემაც აგოს პასუხი.

„ოცნების“ კულუარებში ამბობენ, რომ თავიდან ივანიშვილს სურდა, ყველაფერი გახარიას აეღო თავის თავზე. რაღაც მომენტში დაითანხმა კიდეც შს მინისტრი, მაგრამ ამ დღეებში მან პოზიცია რადიკალურად შეცვალა და ჩუბინიძის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა.

„ოცნებასთან“ დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, შს მინისტრმა მთავარ მეოცნებეს ანზორ ჩუბინიძეზე გადასცა მთელი რიგი მტკიცებულებები.

ქვეყნის მთავარ მცველზე ოპოზიციამ და მედიამ დარბევიდან მხოლოდ ერთი კვირის თავზე დაიწყეს საუბარი. არადა, მედიაში დარბევის ღამესვე გავრცელდა ფოტო და ვიდეომასალა, საიდანაც ჩანს, რომ ჩუბინიძე სპეცრაზმელებს პირადად აძლევს ბრძანებებს.

რა დაუმტკიცდება მას და რა არა, მომავლის საქმეა. რაც უნდა მოხდეს, ეს გახარიას ვერ გადაარჩენს. მას აუცილებლად მოუწევს მომხდარზე პასუხისგება. ეს მანაც კარგად იცის, მაგრამ, ეტყობა, არ სურს, რომ საქართველოს ისტორიაში მხოლოდ ის შევიდეს თვალთხარიას სახელით.

საკუთარი იმიჯისა და ქონების გადასარჩენად ივანიშვილი მზადაა, შს მინისტრი გაწიროს. მეტიც, 28 ივნისს დაგეგმილი იყო მთავრობის მეთაურის გადადგომა, რასაც მთელი მინისტრთა კაბინეტის შეცვლა მოჰყვებოდა.

ეს არსებულ ვითარებას განმუხტავდა, მაგრამ ივანიშვილმა მოსკოვიდან მიიღო გაფრთხილება, რომ გახარია შს მინისტრად უნდა დარჩეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მთავარ მეოცნებეს პრობლემები შეექმნება.

მოსკოვის მიერ საქართველოში ძალოვანი მინისტრების დანიშვნა ახალი ამბავი არ არის. 1993 წლის ბოლოს ირაკლი ბათიაშვილმა უშიშროების მინისტრის პოსტი დატოვა. ამ თანამდებობაზე შევარდნაძემ ავთო იოსელიანი დანიშნა, მაგრამ მოსკოვიდან განხორციელდა ზარი და ეს პოსტი იგორ გიორგაძეს გადააბარეს.

რუსეთის უშუალო ჩარევით დაინიშნა თავდაცვის მინისტრად 1994 წელს ვარდიკო ნადიბაიძე.

მიხეილ სააკაშვილს თუ დავუჯერებთ, რუსეთმა ვარდების რევოლუციის მერეც მოინდომა საკუთარი ხალხის დანიშვნა. ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტი ამბობს, რომ ვლადიმერ პუტინმა ვალერი ხაბურძანიას გაუწია რეკომენდაცია. ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს ვალერი ხაბურძანია.

ასე რომ, რუსების ჩარევა ქართულ პოლიტიკაში ახალი არ არის და ივანიშვილიც იძულებულია, კრემლს ანგარიში გაუწიოს. ამ ანგარიშის გაწევაში კი შეიძლება ამერიკელებთან მოხდეს უთანხმოება.

მმართველ გუნდში ამბობენ, რომ ამ დღეებში ივანიშვილს ამერიკელებთან ხშირი კომუნიკაცია აქვს. სწორედ ამ კომუნიკაციის წყალობით ვერ დაიჭირეს ოპოზიციის ლიდერები.

„ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო ამბობს, რომ მთავარ მეოცნებეს ამერიკელები დაჟინებით სთხოვენ მთავრობისა და გახარიას გადაყენებას და რადგან მოსკოვს სხვა მოთხოვნები აქვს, აშშ ჩვენებურს უსაფრთხოების დაცვას დაჰპირდა.

ვინ ვინ და ივანიშვილმა კარგად უწყის, რა შეუძლიათ რუსეთის სპეცსამსახურებს. ამიტომაც ყოყმანობს ასე.

რუსეთსა და ამერიკას შორის თამაში თავის დროზე შევარდნაძესაც არ გამოუვიდა, მთავარი მეოცნებე ამას სულ ვერ შეძლებს და მას აუცილებლად მოუწევს არჩევანის გაკეთება.

ამაში ეჭვი არც მმართველ პარტიაში ეპარებათ და მავანი უკვე ემზადება ახალ მინისტრთა კაბინეტში შესასვლელად.

როგორც ამბობენ, ყველაზე დიდი კონკურენცია შს მინისტრის სავარძელზეა.

სალომე სამადაშვილი: „მთელი საქართველო დგას ქუჩაში. ივანიშვილისთვის ეს პოლიტიკური განაჩენია“

– მთელი საქართველო დგას ქუჩაში. ბიძინა ივანიშვილისთვის ეს არის პოლიტიკური განაჩენი, ამიტომ, რაც უფრო მალე გადააყენებს გახარიას, მით უკეთესია.

ამის შესახებ ჟურნალისტებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა სალომე სამადაშვილმა განუცხადა, რომელმაც „თავისუფლების მარშში“ მიიღო მონაწილეობა.

მისივე თქმით, დღეს ივანიშვილს აქვს ორი არჩევანი – ან დაემორჩილოს ხალხის ნებას, ან უფრო მწვავე პოლიტიკური კრიზისი მიიღოს.

– ეს ნიშნავს ერთადერთ რამეს, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური რეჟიმის დასასრულს ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ სასწრაფოდ უნდა შევცვალოთ კონსტიტუცია და ივანიშვილის ოლიგარქიული მმართველობა, ვფიქრობ, ყველასთვის ნათელია, ქვეყანაში ივანიშვილის პოლიტიკური რეჟიმი დასრულებულია. დღეს ივანიშვილს აქვს ორი არჩევანი, ან დაემორჩილოს ხალხის ნებას, ან უფრო მწვავე პოლიტიკური კრიზისი მიიღოს. ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნისთვის უკეთესი იქნება თუ ის რაც შეიძლება სწრაფად იმოქმედებს ხალხის ნების შესაბამისად, – განაცხადა სალომე სამადაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

თბილისის აქციებში ბიზნესმენ კოლომოისკის სახელიც გარიეს

„დასავლეთმა საქართველოში რუსეთის აგრესიაზე შესაბამისი რეაგირება არ მოახდინა“

მარიამ მჭედლიშვილი

რუსი ექსპერტები ნიშნის მოგებით აღნიშნავენ, რომ რუსეთის პრეზიდენტის მიერ სანქციების დაწესების შემდეგ საქართველოში რიტორიკა შეიცვალა. რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატ გავრილოვზე თავდასხმები არასტუმართმოყვარეობად ფასდება, ასევე გაისმის განცხადებები იმის შესახებ, რომ იმაში, რაც საქართველოში 20 ივნისის შემდეგ ხდება, ჩარეული არიან უცხო ძალები.

რუსეთში არ აწყობთ იმის აღიარება, რომ პარლამენტის თავმჯდომარის სავარძლის დაკავების უფლება საქართველოში ბიუროს სპეციალური გადაწყვეტილების გარეშე არავის (არც შინაურსა და არც გარეულს) აქვს.

ექსპერტ ვახტანგ მაისაიას განმარტებით, საქართველოს პარლამენტში რუსი დეპუტატის შესვლაც კი არ შეიძლებოდა, ვინაიდან საქართველო რუსეთთან საომარ მდგომარეობაშია. მისი თქმით, რუსეთის დუმის წარმომადგენლის დაჯდომა პარლამენტის თავმჯდომარის სკამზე არაფორმალურად კაპიტულაციის განხორციელებას ნიშნავს.

რუსეთის იმ მოქალაქეებისათვის, რომლების პოლიტიკური წრეებისაგან შორს არიან, არათუ ასეთი ნიუანსები, არამედ, ისიც კი უცნობია, რომ რუსეთმა საქართველოს ორი რეგიონის ოკუპაცია მოახდინა, სხვა მოქმედებებს რომ თავი დავანებოთ.

მათთვის გასაკვირია საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადებები რუსეთის აგრესიის შესახებ. ამ კატეგორიის ხალხი დარწმუნებულია, რომ აგრესორი და მტერია სალომე ზურაბიშვილი და ის ქართველობა, რომელიც რუსეთს პრეტენზიებს უყენებს.

რუსი ექსპერტები კმაყოფილებას ვერ მალავენ იმის გამო, რომ ქართველმა ჩინოსნებმა მოსკოვის საამბელი ნოტები ააჟღერეს. ამ მხრივ მათთვის სამაგალითოა ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი. მაჭავარიანმა, ავტორების დასკვნით, კარგად დაიანგარიშა რუსეთის ემბარგოს ზიანი საქართველოს ეკონომიკის მიმართ, რომელიც ანტირუსულ გამოსვლებს მოჰყვა. რუსებს მოეწონათ მაჭავარიანის მხრიდან კავკასიური სტუმართმოყვარეობის ხსენება და გავრილოვზე იერიშის დაგმობა.

რუსი კომენტატორები ირწმუნებიან, რომ გავრილოვს სრული უფლება ჰქონდა, ჩამჯდარიყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში, ვინაიდან თბილისში მართლმადიდებლობის ასამბლეის სხდომა მიმდინარეობდა და ის ამჟამად ამ ორგანიზაციის პრეზიდენტია.

რუსეთში ვარაუდობენ, რომ თბილისი ეკონომიკური კრიზისის დაძლევას პოლიტიკური მეთოდებით ეცდება. საქართველოში განტევების ვაცს მოძებნიან, ქართველებისა და რუსების ერთმანეთზე გადაკიდებას მას დააბრალებენ. ამისთვის იდეალური კანდიდატია ნიკა მელია, რომელსაც პარლამენტის უმრავლესობამ სადეპუტატო იმუნიტეტი შეუჩერა. თუ საქართველოს ხელისუფლებამ ეს გადაწყვეტილება მიიღო, მაშინ ნიკა მელიას შინაპატიმრობას არ აკმარებენ.

ექსპერტების შეფასებით, თბილისში დაიწყებენ ასევე უცხოური ჩარევის ვერსიების წამოყენებას.

გარედან ჩარევის ერთ-ერთ ვერსიაზე რუსეთში მცხოვრები მედიამენეჯერი თინა კანდელაკი საუბრობს. მისი სიტყვებით, საქართველოში აქციებს ზურგს უკრაინელი ოლიგარქი იგორ კოლომოისკი უმაგრებს, რომელიც საакაშვილის მომხრეებს აფინანსებს.

როგორც ჩანს, კანდელაკს ჰგონია, რომ უამრავი ადამიანი ქუჩაში სააკაშვილმა გამოიყვანა. სინამდვილეში, ყოველდღიური მიტინგებისა და მსვლელობების ორგანიზატორი რომელიმე პარტია არ ყოფილა. პარტიების წევრები საპროტესტო ტალღაში ჩაერთვნენ.

ბრიტანელი ექსპერტი რუსეთის საკითხებში მარკ გალეოტი დღეს აცხადებს, რომ დასავლეთმა საქართველოს მიმართ შეცდომა დაუშვა – დასავლეთს რუსეთის მოქმედებებზე საქართველოში სუსტი რეაქცია ჰქონდა.

ბრიტანელი სპეციალისტი რუსეთის საკითხებში აცხადებს, რომ მოსაზრება პუტინის გენიალურ სტრატეგობასა და რუსეთის სიძლიერეზე მითია. უძლეველი მმართველის იმიჯს პუტინი თვითონ იქმნის. კრემლიდან კონსერვატორებს აჯერებენ, რომ რუსეთი ტრადიციული ღირებულებების დამცველია, მემარცხენეებს არწმუნებენ, რომ რუსეთი ხელს უშლის ამერიკის დომინირებას მსოფლიოში.

დასავლეთიც სცოდავს, როცა აცხადებს, რომ ყველაფერში რუსეთის ხელს ხედავს. დასავლეთი იმაშიც ტყუის, რომ არ ეწინააღმდეგება რუსული ბინძური ფულის გათეთრებას დასავლეთში.

მისი ინფორმაციით, რუსეთიდან მომავალი ჰიბრიდული ომისგან დაცვა რეალურია. მაგალითად, ფინელებმა ეს შესანიშნავად მოახერხეს იმის გამო, რომ კარგი მედია აქვთ და ძლიერი პოლიტიკოსები ჰყავთ.

საქართველოს პოლიტიკოსები ძლიერებისა და რუსეთთან ნამდვილად მებრძოლების შთაბეჭდილებას არ ტოვებენ. საზოგადოება იმაშიც არ არის დარწმუნებული, რომ შს მინისტრი გიორგი გახარია, რომლის გადადგომაც ბოლო დღეებში საპროტესტო აქციების მთავარი მოთხოვნაა, რუსეთიდან არ იმართება.

გიგი უგულავა: „ამათ პასუხისმგებლობის აღება ჰგონიათ, რომ გირებს სწევენ“

– ვიხილეთ მთავრობა, რომელმაც გვითხრა, რომ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას არ იღებს და ის დააკისრა ოპოზიციას. გახარიამ საერთოდ ჯეკპოტი მოხსნა და განაცხადა, რომ ის ე.წ დათვის მკვლელი 2012 წელს არის ნაყიდიო.

ამის შესახებ ჟურნალისტებს „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიგი უგულავამ განუცხადა, რომელმაც „თავისუფლების მარშში“ მიიღო მონაწილეობა.

თბილისის ყოფილი მერის განცხადებით, ხელისუფლებამ პრობლემები და მომხდარი უბედურება ვერ გააანალიზა და ხელი სხვისკენ გაიშვირა.

– ჩვენ გვყავს მთავრობა, რომელიც პასუხისმგებლობას ვერ იღებს ვერაფერზე, მაგრამ ახლა ძალიან მარტივად დგას საქმე – გახარია უნდა წავიდეს ან გახარიამ საზოგადოებას უნდა უთხრას, ვინ მიიღო გადაწყვეტილება, ბრძანება ვინ გასცა, ვინ იყო ამის შემსრულებელი – ეს ყველაფერი უნდა თქვას. ამათ პასუხისმგებლობის აღება ჰგონიათ, რომ გირებს სწევენ. სინამდვილეში, პასუხისმგებლობას თუ იღებ, ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა გადადგე. ამას ნიშნავს და ამათ ჰგონიათ, რომ ახლა რაღაც ჰანტელებს აწევენ და აი, მძიმე პასუხისმგებლობა ავიღე. ეგრე არ არის არსად და არც ჩვენთან იქნება. ამიტომ ძალიან ცალსახა არის, გახარია თანამდებობაზე დარჩენა პრაგმატულად ცუდია, ქვეყნისთვის, პირველ რიგში, და სხვათა შორის, „ოცნებისთვისაც“ იმიტომ, რომ ეს არის ტოქსიკური მძიმე ტვირთი, რომელიც მათ გემბანს ჩაიტანს უფსკრულში, ამიტომ გახარია უნდა წავიდეს და შემდეგ ფორსირებულად უნდა ვიმუშაოთ საარჩევნო სისტემის მიმართ ნდობა რომ გაჩნდეს, პროპორციული სამართლიანი არჩევნებით და ასე უნდა გავუშვათ ივანიშვილი, ჩამოვაშოროთ მმართველობას, – განაცხადა გიგი უგულავამ.

ინტერპრესნიუსი

ლადო პაპავა: „ესტონური მოდელი ესტონეთისთვის კარგია, საქართველოსთვის კი – დამღუპველი“

გადაცემაში „ეკონომისტის დრო ლევან ქისტაურთან ერთად“ აკადემიკოსი **ვლადიმერ პაპავა** ესტონურ მოდელზე საუბრობს. მისი თქმით, საქართველოში ესტონური მოდელი უნდა გადმოტანილიყო არა მთლიან ეკონომიკაზე, არამედ მაღალტექნოლოგიური სექტორის განვითარებაზე.

– ესტონური მოდელი ესტონეთისთვის კარგია, საქართველოსთვის კი – დამღუპველი. ესტონეთი მაღალტექნოლოგიურ ეკონომიკაზეა დაფუძნებული, ის სკაიპის სამშობლოა. როცა მას აქვს ასეთი დივერსიფიცირებული ეკონომიკა, ბუნებრივია, რომ ესტონური მოდელით შეღავათების გაკეთებით, ვითარდება ყველა დარგი და კიდევ უფრო მეტად ვითარდება ის დარგები, სადაც მეტია მოგება და მოგება მეტია მაღალტექნოლოგიურ წარმოებებში.

საქართველოში ესტონური მოდელი უნდა გადმოტანილიყო არა მთლიან ეკონომიკაზე, არამედ მაღალტექნოლოგიური სექტორის განვითარებაზე. კიდევ კარგი, კვირიკაშვილი დროზე გაუშვეს, თორემ იმავეს გადმოტანას აპირებდა საფინანსო და საბანკო სექტორზეც.

ამბობენ, რომ მთავრობას სჭირდება კარგი მენეჯერები. მენეჯერის ადგილი არის ბიზნესში. მთავრობას კი სჭირდება კარგი სახელმწიფო მმართველი. ეს ორი სხვადასხვა რამეა. მენეჯერის მიზანია კომპანიის მოგების მაქსიმიზაცია ან კომპანიის ღირებულების ზრდა, ხოლო სახელმწიფო მმართველის – ქვეყნის კეთილდღეობა. მხოლოდ ჩვენნაირ ჩამორჩენილ ქვეყანაში შეიძლება იყოს გამჯდარი ის, რომ ქვეყნის მართვისთვის მენეჯერია საჭირო. მენეჯერები ღუპავენ ქვეყანას და ეს მენეჯერული მიდგომა არის იმ პრიმიტივიზმის გამოხატულება, რაც ჩვენ გვაქვს. – ამბობს ვლადიმერ პაპავა.

როგორ აპირებს მთავრობა ადგილობრივი მეწარმეების ხელშეწყობას

ეკონომიკის მინისტრის განცხადებით, მთავრობამ უკვე დაამტკიცა ანტიდემპინგური კანონი, რომელიც 2020 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.

კანონის მიზანს ადგილობრივი მეწარმეებისა და ინდუსტრიის დემპინგური ფასებისგან დაცვა წარმოადგენს.

უფრო კონკრეტულად, თუ რა წერია დოკუმენტში, „ბიზნესპრესნიუსს“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გენადი არველაძე ესაუბრა.

– თუ იმპორტირებული პროდუქტი იყიდება ღირებულებაზე დაბალ ფასად და მიმართულია, რომ დააზიანოს ადგილობრივი ინდუსტრია, ამ შემთხვევაში იწყება გამოძიება, რომელსაც კონკურენციის სააგენტო ახორციელებს. თუმცა, ამას წინ უძღვის ადგილობრივი ინდუსტრიის განცხადება, რის საფუძველზეც იწყება გამოძიება, რომელიც შესაძლოა, 12 თვემდე გაგრძელდეს, თუმცა თუ არც ეს პერიოდი იყო საკმარისი მოკვლევის დასრულებისთვის, კონკურენციის სააგენტოს შეეძლება ვადა კიდევ 6 თვით გაახანგრძლივოს. ანუ დემპინგის გამოსავლენად გამოძიება მაქსიმუმ 18 თვის განმავლობაში შესაძლოა, მიმდინარეობდეს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში თუ გამოძიების დასრულებამდე ადგილობრივ ინდუსტრიას სერიოზული ზიანი ადგება, კანონი ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე წინასწარი ღონისძიების შემოღებას გულისხმობს. ამ ღონისძიების ფარგლებში იმპორტიორ კომპანიას უწესდება სპეციალური დემპინგური ტარიფი, რომელსაც დეკლარირების, განბაჟების დროს გადაიხდის. მნიშვნელოვანია, რომ წინასწარი ღონისძიება მაქსიმუმ 7 თვის განმავლობაში შეიძლება გაგრძელდეს. გამოძიების სრულად დასრულების შემთხვევაში კი თუ დადგინდება, რომ დემპინგი არ ყოფილა, ამ თანხის კომპანიისთვის დაბრუნება მოხდება. ხოლო თუ დადასტურდება დემპინგური ფასების არსებობა, მაშინ ტარიფი იმის მიხედვით დაწესდება/შეიცვლება, რაც ადგილობრივი ინდუსტრიის დასაცავად იქნება საჭირო. სხვა სადამსჯელო ღონისძიებებს ანტიდემპინგური კანონი არ გულისხმობს, – აცხადებს არველაძე.

მისივე თქმით, კანონის თანახმად, მოკვლევას კონკურენციის სააგენტო განახორციელებს, რომელიც რეკომენდაციის სახით წარუდგენს მთავრობას და უკვე მთავრობა მიიღებს გადაწყვეტილებას ღონისძიების შემოღებასთან დაკავშირებით.

ამასთან, როგორც არველაძემ „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ გამოძიების დასაწყებად აუცილებელია ინდუსტრიის და არაერთი კომპანიის მიმართვა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც არის გამონაკლისი, კერძოდ, თუ კონკურენციის სააგენტოს დემპინგურ ფასებთან დაკავშირებით მოკვლევის დასაწყებად ერთი კომპანია მიმართავს, მას ბაზრის მნიშვნელოვანი წილი უნდა ეკავოს.

BPN

სახელმწიფო სტრუქტურებში ქრთამის აღების ფაქტები 56.52%-ით გაიზარდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2019 წლის იანვარ-მაისში სახელმწიფო სტრუქტურებში ქრთამის აღების ფაქტები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 56.52%-ით გაიზარდა.

კერძოდ, შს სამინისტროს ცნობით, მიმდინარე წელს ამ დანაშაულის – 36, ხოლო 2018 წლის იანვარ-მაისში 23 ფაქტი დაფიქსირდა.

ზოგადად სამოხელეო დანაშაულის სტატისტიკა კი მიმდინარე წლის 1-ელ ხუთ თვეში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 12.68%-ით არის შემცირებული. კერძოდ, თუ მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში სამოხელეო დანაშაული 248 ფაქტი დაფიქსირდა, 2018 წლის ამავე პერიოდში ეს მაჩვენებელი 284 იყო.

ამასთან, უწყების ცნობით, სტატისტიკურად 2019 წლის იანვარ-მაისში სამოხელეო დანაშაულის რეგისტრირებული ფაქტებიდან ყველაზე მეტი – 127 შემთხვევა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას ეხება. გარდა ამისა: 2019 წლის იანვარ-მაისში 36 – ქრთამის აღების; 38 – სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების; 28 – სამსახურებრივი გულგრილობის; 14 – სამსახურებრივი სიყალბისა და 5 ქრთამის მიცემის შემთხვევა დაფიქსირდა.

BPN

„რუსული ტურიზმი ერთ მეოთხედს წარმოადგენს. ეს არ არის ჩვენი შეგნებული პოლიტიკის შედეგი“

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ **ნათია თურნავას** განცხადებით, რუსული ავიასანქციების შედეგად ქართული ტურისტული სექტორისთვის არსებული გამოწვევები დიდია. ამის შესახებ მინისტრმა ტელეკომპანია „იმედისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

როგორც ნათია თურნავამ აღნიშნა, იგი ყოველდღიურ რეჟიმში ხვდება კერძო სექტორის წარმომადგენლებს და მთავრობას აქვს საკმაოდ ნათელი ხედვა, თუ როგორ შეიძლება ნეგატიური ზემოქმედების შერბილება.

– რა თქმა უნდა, მთლიანობაში ეს ჯანსაღი ინდუსტრიაა, მაგრამ მიუხედავად ამისა რუსული ტურიზმი ერთ მეოთხედს წარმოადგენს. ეს არ არის ჩვენი შეგნებული არჩევანი და შეგნებული პოლიტიკის შედეგი. ეს ბიზნესის არჩევანია. რაც ჩვენ, სახელმწიფომ გავაკეთეთ ბოლო წლების განმავლობაში, ჩვენ შევუქმენით ბიზნესს ძალიან ფართო არჩევანი. მთელი მსოფლიოს მასშტაბით წარმოვაჩინეთ საქართველო, როგორც მიმზიდველი, მშვიდობიანი, პროგრესული და უსაფრთხო ტურისტული ადგილი.

ეს არის ერთი მილიონი ტურისტი რუსეთიდან, რომლის მოლოდინი ჰქონდა საქართველოში საოჯახო სასტუმროებს, მსხვილ სასტუმროებს, რესტორნებს და ეს რაოდენობა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, ჩვენ რომ ვილაპარაკოთ ერთი მილიონი ტურისტის წლის ბოლომდე საიდანღაც ჩანაცვლებაზე, ეს იქნება ძალიან უპასუხისმგებლო ნათქვამი. მე ვარ პასუხისმგებლიანი მინისტრი, პასუხისმგებლიანი მთავრობის. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან მარტივად შეგვიძლია ერთი მლნ ტურისტის მარტივად ჩანაცვლება, თუნდაც ეს იყოს ჩვენი ბაზრის ერთი მეოთხედი. რასაკვირველია, ეს შეუძლებელია.

აქედან გამომდინარე, ჩვენ ვმუშაობთ ორი ძირითადი მიმართულებით. ერთი მიმართულებაა, რომ კვლავ კიდევ ერთხელ გავაჟღეროთ, რომ საქართველო უსაფრთხო ტურისტული ქვეყანაა. ამას მსოფლიო აღიარებს და ახლა რატომღაც რუსეთმა აღმოაჩინა, რომ ჩვენ რათაც საფრთხის შემცველები ვართ თურმე. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. ჩვენ ვართ ყველაზე უსაფრთხო ქვეყანა და თუკი სადმე გაჩნდა კითხვები, კითხვები შეიძლება გაჩენილიყო სხვა ქვეყნებშიც. არის ახლა ეს ტენდენციაც, რომ კითხვა გაჩნდა. ჩვენ ყველას ვპასუხობთ დიპლომატიური არხებით, ყველა ეთერს ვიყენებთ, – განაცხადა მინისტრმა და დასძინა, რომ ტურიზმის სექტორის დასახმარებლად მუშაობის მეორე მიმართულება ბიზნესთან შეხვედრებს და მათი საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მიღებას გულისხმობს.

– მოთხოვნა იმასთან ერთად, რომ სხვა ბაზრები განვავითაროთ, არის ისიც, რომ დაგვეხმარეთ, შევინარჩუნოთ რუსი ტურისტებიც. ეს არის საკმაოდ ყურადსაღები ტენდენცია და ვალდებული ვართ, მათ შორის ამ მიმართულებით ვიმუშაოთ, რომ შეძლებისდაგვარად რუსი ტურისტიც შევინარჩუნოთ ამ ბაზარზე.

ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში ვმუშაობთ კონკრეტულ გეგმაზე, თუ როგორ მოხდეს ამ შესაძლო ნეგატიური ზეგავლენის შერბილება მაინც. ჩვენ ამ გეგმას რამდენიმე მიმართულებით დავყოფთ. ერთი არის მარკეტინგული მიმართულება. რა კორექტივები შევიტანოთ უკვე ჩამოყალიბებულ მარკეტინგულ ბიუჯეტში. სხვათაშორის, ჩვენ რუსეთის მიმართულებით წელს საერთოდ არაფერი გვეჯდა ბიუჯეტში, რადგან რუსეთის ბაზარი ისედაც მზარდი იყო.

მეორე მიმართულება არის ლოგისტიკური, თუკი რაიმე შეიძლება ჩვენ ბიზნესს შევთავაზოთ ამ მხრივ. ჩვენ გვაქვს მოსაზრებები ისევ ბიზნესის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

მესამე არის ფინანსური. არ მინდა მოვლენებს გავასწრო. კიდევ გვაქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი კონსულტაცია ბანკებთანაც და ალბათ, იმ კვირაში მთლიანად დაასრულებს მთავრობა ამ გეგმაზე მუშაობას. თუ ჩავარდნა იქნება, ერთიორი თვე, ჩვენ ამაზე გვექნება პასუხი, – განაცხადა მინისტრმა.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წლის 8 ივლისიდან რუსული ავიაკომპანიები – საქართველოში, ქართული ავიაკომპანიები კი რუსეთში ფრენებს ვეღარ განახორციელებენ.

BMG

მშენებლობის სექტორი შემცირებას განაგრძობს

„საქსტატის“ აღმასრულებელი დირექტორი **გოგიტა თოდრაძე**მაისში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის განსაზღვრაზე სხვადასხვა დარგის გავლენებს განმარტავს.

– უძრავი ქონებით ოპერაციების და მოხმარებისთვის სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევის სექტორში ზრდა განაპირობა ისეთი სახის მომსახურებით დაკავებული ბრუნვის მოცულობის მატებამ, როგორიც არის უპირველეს ყოვლისა, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი, რეკლამა, კომპიუტერებთან დაკავშირებული საქმიანობა, საინჟინრო მომსახურება, მთარგმნელობითი საქმიანობა და ა.შ.

ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის წარმოება-განაწილების სექტორში ზრდის გამომწვევ მიზეზად გვევლინება ჰიდროელექტროსადგურების მიერ წარმოების მოცულობის გაზრდა. დაახლოებით, 6.6%-ით გაიზარდა ელექტროენერგიის წარმოება.

ვაჭრობის დარგში ზრდა განაპირობა ბუნებრივი აირით საბითუმო ვაჭრობამ, გარდა ამისა, გაზრდილია საკვები პროდუქტებით საბითუმო ვაჭრობა, მანქანებითა და მოწყობილობებით და კომპიუტერული ტექნიკით ვაჭრობა. 2019 წლის მაისში აღსანიშნავია, რომ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დაახლოებით 75%-ით გაიზარდა მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი და მისი მოცულობა თითქმის 60 მილიონ დოლარს გაუტოლდა.

სასტუმროებისა და რესტორნების სფეროში ზრდა განაპირობა ტურისტების რაოდენობის ზრდამ. აღსანიშნავია, რომ ტურისტული ვიზიტების რაოდენობა დაახლოებით 18%-ით არის გაზრდილი, – განმარტა „საქსტატის“ აღმასრულებელმა დირექტორმა.

რაც შეეხება საანგარიშო პერიოდში შემცირების ტენდენციის მქონე სექტორებს, ამ მიმართულებით ჩამონათვალში მშენებლობის დარგი ისევ გვხვდება.

– მშენებლობის სექტორში კვლავ შემცირების ტენდენცია ფიქსირდება, რომლის მიზეზს წარმოადგენს ძირითადად შენობების, მაგისტრალური მილსადენების, კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის მოცულობის შემცირება.

მშენებლობის დარგში განვითარებული ტენდენციების შესაბამისად, კლება შეინიშნება სამთო-მოპოვებითი მრეწველობის სექტორში. როგორც აღვნიშნე, ეს გახლავთ ძირითადად ნედლეული სამშენებლო პროცესებისთვის და მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მშენებლობაში განვითარებული მოვლენები სამთო-მოპოვებითი მრეწველობის დარგზე.

ასევე, აღსანიშნავია, რომ დაახლოებით, 26%-ით შემცირდა სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალების იმპორტი. მაგალითად, 16%-ით შემცირდა ცემენტის იმპორტი სხვადასხვა ქვეყნიდან.

დამამუშავებელი მრეწველობის სექტორში შეინიშნება ასევე შემცირების ტენდენცია, რაც ძირითადად განპირობებულია ფეროშენადნობების, ასევე მინერალური სასუქებისა და აზოტოვანი სასუქების და თამბაქოს ნაწარმის წარმოების მოცულობის შემცირებით. აქვე აღსანიშნავია, რომ 75%-ით შემცირდა აზოტოვანი სასუქების ექსპორტის მაჩვენებელი, 46%-ით შემცირდა ფეროსილიკონ მანგანუმის ექსპორტის მაჩვენებელი.

რაც შეეხება კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევის დარგში განვითარებულ მოვლენებს, შემცირების თვალსაზრისით ეს ძირითადად განპირობებულია და დაკავშირებულია აზარტულ და ფულზე თამაშებთან დაკავშირებული კომპანიების გამოშვების მოცულობის შემცირებასთან, – განმარტა გოგიტა თოდრაძემ.

მიმდინარე წლის მაისში საქართველოში 4.7%-იანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა.

BMG

ლარის კურსზე პასუხისმგებელია ეროვნული ბანკი, პარლამენტი და მთავრობის ეკონომიკური გუნდი

– ლარის კურსზე პასუხისმგებელია ეროვნული ბანკი, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი და მთავრობის ეკონომიკური გუნდი. ეს არის ერთიანი პასუხისმგებლობა ყველა ამ სტრუქტურის, განსაკუთრებით, ეროვნული ბანკის, – ასე აფასებს კაპიტალის ბაზრის ექსპერტი **ვახტანგ ხომიზურაშვილი** ბოლო პერიოდში ლარის გაუფასურების ტენდენციას.

როგორც ცნობილია, ეროვნულმა ბანკმა ლარის ასეთი გაუფასურება რუსულ ტურისტულ ემბარგოსთან დაკავშირებულ მოლოდინებს დაუკავშირა. ხომიზურაშვილი კი „კომერსანტთან“ განმარტავს, რომ ტურისტული ნაკადები ასე სწარფად გავლენას არ ახდენენ. ეს გარკვეულ პერიოდში აისახება, მოიკლებს სავალუტო ნაკადები, თუმცა, აქ საქმე ერთ მნიშვნელოვან მომენტთან გვაქვს:

– გარკვეული პერიოდის წინ ჩავატარეთ პატარა ანალიზი, თუ რამდენად არის დამოკიდებული ტურისტული ნაკადები, რამდენად მოქმედებს ეს სავალუტო კურსზე. რეალურად გამოვიდა ისე, რომ ტურისტული ნაკადების მერყეობა აბსოლუტურად არ მოქმედებს ლარზე. ეს პარადოქსული სიტუაციაა, – აღნიშნავს ხომიზურაშვილი.

მისივე განმარტებით, აქედან შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ სავალუტო კურსი პირდაპირ არ ასახავს ეკონომიკაში არსებულ მდგომარეობას. შესაბამისად, სავალუტო კურსის ფორმირების მექანიზმი არის არარელევანტური, არადეკვატური. გარდა ამისა, კურსზე ზემოქმედებას რამდენიმე ბანკი ახდენს. მათ მიერ სავალუტო რეზერვების შექმნა, მოთხოვნის გაზრდა დოლარზე, ბანკების მხრიდან წმინდად სპეკულაციური ოპერაციაა.

– რეალურად, თუ გაგრძელდება ლარის გაუფასურების ტენდენცია, მაშინ კომერციული ბანკები საკურსო სხვაობის სახით მიიღებენ დამატებით მოგებას. პოლიტიკური სიტუაცია მოქმედებს და ქმნის მოლოდინებს, მაგრამ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს მოლოდინები დღეს არ გაჩნდა. არც იმის თქმაა სწორი, რომ ხელოვნური მოლოდინები იქმნება. ეს არ არსებობს. მოლოდინები სავალუტო კურსთან მიმართებაში წარმოიქმნება პრეცედენტების შედეგად. ის, რომ სავალუტო კურსის ფორმირება გაუმჭირვალეა, ის, რომ სპეკულაციური ოპერაციების შესაძლებლობაა, ის, რომ სავალუტო კურსი არ ასახავს რეალურად ეკონომიკაში არსებულ სიტუაციას და დამოკიდებულია რამდენიმე ბანკის სავალუტო ოპერაციებზე – ეს პრეცედენტები აქამდე ნეგატიურ მოლოდინებს და უნდობლობას ლართან მიმართებაში ქმნიდა. ეს დღეს არ წარმოქმნილა, – აცხადებს ხომიზურაშვილი.

მისივე მტკიცებით, რეალურად, ეროვნულმა ბანკმა სავალუტო პოლიტიკას უნდა გადახედოს. გასაგებია, რომ რეზერვების დახარჯვა მიზანშეწონილი არ არის, ეს ცალსახაა, მაგრამ მარეგულირებელმა დოზირებულად უნდა განახორციელოს დოლარის ინტერვენცია სავალუტო ბაზარზე. ხომიზურაშვილის ინფორმაციით, დოზირებული ინტერვენციები შეარბილებს კურსის მკვეთრ მერყეობას.

როგორც ექსპერტი აცხადებს, ეროვნული ბანკი ლარის ინტერვენციებს ახორციელებს ცალმხრივად, ამ შემთხვევაში და ავსებს რეზერვებს. საბოლოო ჯამში, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეროვნული ბანკის მიზანია რეზერვების შექმნა, რაც არასწორია. ხომიზურაშვილის განცხადებით, ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ბაზარზე მოქნილად უნდა იმოქმედოს. მანამ, სანამ არ იქნება მიღებული სავალუტო კურსის ე.წ ფრანკფურტის მეთოდი, რომელიც დაიცავს ეროვნულ ვალუტას სპეკულაციებისგან და კურსის ასიმეტრიულობისგან, მუდმივად ეს პრობლემა იდგება.

დღეს არსებული კურსიც კომერციული ბანკების „ბრალი“ არ არის, რადგან ესენი არიან კომერციული სტრუქტურები, რომლებიც იყენებენ ყველა იმ შესაძლებლობას, რომელსაც მათ რეგულატორი აძლევს.

– შედეგად, აქ პრობლემა ეროვნული ბანკია, რადგან მან არ შექმნა ის ველი, სადაც რეალური სავალუტო კურსი იქნება დაფიქსირებული, – აცხადებს ხომიზურაშვილი.

მისი თქმით, ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება პარლამენტსაც, რადგან სწორედ საკანონმდებლო ორგანომ დაუმტკიცა ეროვნულ ბანკს ის, რომ სწორედ მარეგულირებელმა უნდა აკონტროლოს ფასები და კურსის თარგეთირება გააკეთოს.

კითხვაზე, რას ნიშნავს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის, ირაკლი კოვზანაძის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ ეროვნულმა ბანკმა, მისმა ხელმძღვანელობამ აქტიურად უნდა იმუშაოს იმისათვის, რომ დროული და ადეკვატური პასუხები გასცეს არსებულ გამოწვევებს, მათ შორის, ტურისტულ სექტორში ამჟამად მიმდინარე მოვლენებისა და ლარის კურსის მიმართულებას, ხომიზურაშვილი განმარტავს, რომ ამ შემთხვევაში პარლამენტმა მოიშორა თავისი პასუხისმგებლობა და ხელი ეროვნული ბანკისკენ გაიშვირა.

– როდესაც პარლამენტი „უპრავებს“ ეროვნულ ბანკს რაღაც პოლიტიკის მიმართულებას, ამ შემთხვევაში პარლამენტია პასუხისმგებელი. პარლამენტმა დაუშვა პირველ რიგში ადრე შეცდომა და ამის გამოსწორებაზე საერთოდ არ ფიქრობს, რომ მხოლოდ და მხოლოდ ინფლაციაზე გააკეთა აქცენტი. პარლამენტს უნდა დაემტკიცებინა ეროვნული ბანკის მიმართ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება, საპროცენტო განაკვეთების მართვა, სავალუტო კურსის მართვა. ეს ყველაფერი ერთმანეთშია დამოკიდებული. არ შეიძლება გამოცალკევება და იმის თქმა, რომ ეროვნული ბანკი მხოლოდ ინფლაციაზეა პასუხისმგებელი. ის პასუხისმგებელია კომპლექსურად ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკაზე. ეს კი ცალსახად უნდა იყოს დაფიქსირებული პარლამენტის მიერ. დღეს პარლამენტი ეროვნული ბანკის მისამართით იშვერს ხელს, ეროვნული ბანკი ამბობს, რომ მას ინფლაციის მართვა ეხება. ეს არის პინკ-პონგის თამაში, რომელიც კარგს არაფერს მოიტანს, – აცხადებს ხომიზურაშვილი.

შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, ხომ არ გადატყდება ვინმეზე ჯოხი და ხომ არ მოიძებნება „განტევების ვაცი“, ხომიზურაშვილი განმარტავს, რომ არა, რადგან კობა გვენეტაძე მუდმივად იტყვის, რომ მისი ფუნქციაა ინფლაციის თარგეთირება.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი სამომავლო პროგნოზებისგან თავს იკავებს და ამბობს, რომ მცურავი კურსის პირობებში, მისი პროგნოზირება შეუძლებელია. გვენეტაძის თქმით, ლარის ბოლოდროინდელი გაუფასურების მიზეზი რუსეთიდან საჰაერო მგზავრობის აკრძალვის შემდგომ გაჩენილი უარყოფითი მოლოდინებია:

– დღევანდელ სიტუაციაში გამოიკვეთა ის ფაქტორი, რომელიც ამ ეტაპზე ლარის კურსს მოლოდინებით გადმოეცემა. დაანონსებული იყო ინფორმაცია, რომ შედეგად მოხდება ფრენების აკრძალვა, რაც ნიშნავს, რომ შესაძლებელია უფრო ნაკლები რაოდენობის ტურისტი ჩამოვიდეს რუსეთიდან. სწორედ მოლოდინების არხით მოხდა გადაცემა კურსზე და აისახა კიდევაც მასზე, – განაცხადა გვენეტაძემ.

რაც შეეხება ლარის კურსს, ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 27 ივნისის ვაჭრობის შედეგად ლარი კვლავ გაუფასურდა. დოლართან მიმართებით გაუფასურებამ 3.21 თეთრი შეადგინა, ევროსთან კი 4.02 თეთრი.

ამგვარად, 28 ივნისს ერთი აშშ დოლარი 2.8791 ლარი ღირს, ერთი ევრო კი 3.2758 ლარი. ეროვნული ვალუტისთვის ეს ისტორიული ანტირეკორდია. ლარი გაუფასურდა თუქრულ ლირასა და ბრიტანულ ფუნტთან მიმართებითაც. ორთვიანი გაუფასურების შემდეგ, ლარს დაახლოებით ერთი კვირის მანძილზე გამყარების ტენდენცია ჰქონდა, თუმცა, 14 ივნისის შემდეგ, ეროვნული ვალუტა კვლავ უფასურდება.

კომერსანტი

ბათუმში ნაციონალების აქტივისტს რუსულენოვანმა ტურისტმა შუბლის არეში ჭრილობა მიაყენა

ნაციონალური მოძრაობის აქტივისტს ტურისტი თავს დაესხა და შუბლის არეში ჭრილობა მიაყენა. ამის შესახებ პარტიის ბათუმის ორგანიზაციაში განაცხადეს.

პრესსამსახურის ინფორმაციით, თავდამსხმელი რუსეთის მოქალაქე იყო, შს სამინისტროს განმარტებით კი – ესტონეთის.

როგორც ნაციონალური მოძრაობის წევრმა მირდატ ქამადაძემ განაცხადა, აქტივისტ გიორგი დიასამიძეს თავს მას შემდეგ დაესხნენ, რაც ის ოფისიდან გამოვიდა და შეკვეთილში აქციაზე მიდიოდა.

მისივე თქმით, თავდამსხმელი აქტივისტს რუსულ ენაზე აგინებდა. ქამადაძე ვარაუდობს, რომ ეს სუსის მიერ მოწყობილი პროვოკაცია იყო

– არ ვიცი, პრესსამსახურმა რა ინფორმაცია მოგაწოდათ, მაგრამ ოფიციალურ განცხადებებში არსად გვითქვამს, რომ ეს რუსი ტურისტი იყო. ის იყო რუსულენოვანი ადამიანი. ის რუსულად საუბრობდა, რუსულად მიმართავდა და აგინებდა

ჩვენს მეგობრებს. ასე რომ, ის იყო რუსი თუ სხვა ქვეყნის მოქალაქე, ზუსტად არ ვიცი.

ადგილი აქვს მიზანმიმართულ პროვოკაციას. ის, რომ ადამიანი არ არის საქართველოს მოქალაქე, არ ნიშნავს იმას, რომ სუსი არ იდგეს მის უკან, ამიტომ პასუხები გვჭირდება.

ოფისიდან ჩვენი აქტივისტები მანქანით დაიძრნენ შეკვეთილისკენ. გზად საეჭვოდ ჩაუდგა სხვა მანქანა, რომელიც მხოლოდ ჩვენს მეგობრებს არ ატარებდა. მოახერხეს გვერდის ავლა და მოუწოდეს, მოძრაობის წესებს ნუ არღვევდა.

ამის შემდეგ ის მანქანა კვლავ ჩაუდგა და არ გაატარა. იქიდან გადმოვიდა ერთი პირი, რომელიც რუსულად აგინებდა, გიორგი დიასამიძეს კი შუბლის არეში დაარტყა.

მას ჭრილობა აქვს, გადაყვანილია საავადმყოფოში და ჩაუტარდა სამედიცინო დახმარება. იმდენად საეჭვოდ ვითარდებოდა მოვლენები, სავარაუდოდ, პროვოკაციაა, პროვოკაციული ქმედების უკან კი დგას სუსი, – განაცხადა მირდატ ქამადაძემ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფაქტზე გამოძიება 126-ე მუხლით დაიწყო. უკვე გამოიკითხნენ ინციდენტში მონაწილე პირები.

სენაკში მდინარეში მამა და მისი პატარა გოგონა დაიხრჩვნენ

28 ივნისს სენაკში მდინარეში მამა-შვილი დაიხრჩო. მათი ცხედრები მდინარე ცივში იპოვეს.

მათ სამაშველო ჯგუფები თითქმის ერთი დღის განმავლობაში ეძებდნენ.

– გუშინ მე-6 კლასელი გოგო მდინარე ცივში შევიდა საბანაოდ. აღმოჩნდა ღრმა წყალში. მამამ შველა ცადა და ორივე დაიხრჩო. სამაშველო სამსახურმა მათი ცხედრები ღამით იპოვა, – უთხრა „ლაივპრესს“ სოფელ სახარბედიოში მერის წარმომადგენელმა ზაურ ცინაძემ.

მდინარე ცივიდან არასრულწლოვანი გოგონასა და მისი მამის ცხედარი მყვინთავებმა 29 ივნისს, დილით ამოიყვანეს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, ადგილზე 3 მყვინთავი და 3 მაშველი მუშაობდა.

ამბების ინფორმაციით, მდინარე ცივში დაღუპული მამა-შვილი ხვიჩა და მარიამ გაბესკირიები არიან.

ზაურ ცინაძის თქმით, მამა და 12 წლამდე ასაკის გოგონა საქონლის მოსაძებნად იყვნენ წასული.

ცინაძე ამბობს, რომ, სავარაუდოდ, ბავშვი მდინარეში ბანაობდა და მამა სწორედ მის გადარჩენას ცდილობდა.

– როგორც ოჯახის ახლობლებისგან ვიცი, ძროხის მოსაძებნად იყვნენ წასული მანქანით. საღამოს სახლში რომ არ მოვიდნენ, ახლობლებმა დაიწყეს მათი ძებნა. მდინარის ნაპირას იპოვეს ბავშვის ტანსაცმელი და მამის ნივთები – სანთებელა და მობილური ტელეფონი.

ფაქტს თვითმხილველი არავინ ჰყავს. ჩვენი ვარაუდით, ბავშვი მდინარეში ბანაობდა, დინებამ წაიღო და საშველად მამა გადახტა. გოგონა დედასთან ერთად ცხოვრობდა სენაკში, ეს დღეები მამასთან ყოფილა სოფელში, – ამბობს ცინაძე.

ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ქარელის გადასახვევთან სატვირთო ამოტრიალდა

29 ივნისს ავტობანზე, ქარელის გადასახვევთან, სატვირთო ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ამოტრიალდა.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მძღოლი დაშავდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 276-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის, უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

ქუთაისში ეტლით მოსიარულეს მანქანა დაეჯახა

ეტლით მოსიარულე პირს ავტომობილი დაეჯახა.

შემთხვევა ქუთაისში, ფალიაშვილის ქუჩაზე, 29 ივნისს მოხდა. ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო და სასწრაფო დახმარების ეკიპაჟები.

დაშავებული ქალი სამედიცინო დახმარების ცენტრში გადაიყვანეს.

მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

მასობრივი ჩხუბი ბავშვთა პენიტენციარულ დაწესებულებაში

დაჭრილია 1 მსჯავრდებული

ბავშვთა პენიტენციარულ დაწესებულებაში 1 მსჯავრდებული დაჭრეს, რომელიც საავადმყოფოშია გადაყვანილი.

ექიმების განცხადებით, მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. მდგომარეობა სტაბილურია. ის უკვე მოინახულეს ოჯახის წევრებმა.

მომხდარზე გამოძიება გენერალურმა ინსპექციამ დაიწყო, ხოლო იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, პენიტენციარული დაწესებულების დირექტორი თანამდებობიდან გათავისუფლდა.

ინციდენტი მსჯავრდებულების ორ სხვადასხვა ჯგუფს შორის N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში 27 ივნისს დაიწყო და მეორე დღეს გაგრძელდა.

27 ივნისის ინციდენტის აღკვეთის მიუხედავად, 28 ივნისს, გამთენიისას, ურთიერთშელაპარაკება და ფიზიკური დაპირისპირება კვლავ მოხდა ორ თანამესაკნე მსჯავრდებულს, 2002 წელს დაბადებულ გ.თ.-სა და 2001 წელს დაბადებულ დ.ყ.-ს, შორის.

„ჩხუბის შედეგად მსჯავრდებული დ.ყ. N11 პენიტენციარული დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში იქნა გადაყვანილი, ხოლო მსჯავრდებული გ.თ. სამოქალაქო სექტორის კლინიკაში მოთავსდა. მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. მდგომარეობა სტაბილურია. ის უკვე მოინახულეს ოჯახის წევრებმა. ამჟამად მიმდინარეობს ქირურგიული ოპერაციის დაგეგმვა ყბის მოტეხილობის გამო.

28 ივნისს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში დაიწყო გამოძიება მოცემულ საქმეზე.

ამჟამად მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები ორივე საქმეზე, რომლის მიზანიც არა მხოლოდ მსჯავრდებულთა, არამედ თანამშრომელთა ქმედებების სისხლის სამართლის ჭრილში შეფასებაა.

28 ივნისს სპეციალური პენიტენციარული სამსახურის გენერალური დირექტორის მიერ საქართველოს იუსტიციის მინისტრს ეთხოვა ნებართვა N11 პენიტენციარული დაწესებულების დირექტორის გათავისუფლებაზე კანონით დადგენილი წესით. 29 ივნისს იუსტიციის მინისტრის მიერ გაიცა თანხმობა დაწესებულების დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“, – წერია სპეციალური პენიტენციარული სამსახურის განცხადებაში.

იზა ქავთარაძის გარდაცვალების გამო მილანში აფრიკელი მოჰამედ კაგბო დააკავეს

3 თვის წინ მილანში გარდაცვლილი 27 წლის ქართველი გოგონას, იზა ქავთარაძის, საქმეზე ახალი დეტალები გახდა ცნობილი.

იტალიური მედიის ცნობით, საქმეზე დაკავებულია აფრიკელი მამაკაცი, სახელად მოჰამედი, რომელმაც ქართველ გოგონას, სავარაუდოდ, ჰეროინის სასიკვდილო დოზა მიჰყიდა.

მედიის ინფორმაციით, 37 წლის მოჰამედ კაგბო წარმოშობით სიერა ლეონედანაა. პოლიციამ ის რამდენიმეთვიანი გამოძიების შემდეგ დააკავა და იზა ქავთარაძის გარდაცვალებაში დამნაშავედ ცნო.

სამართალდამცველები თვეების განმავლობაში აკვირდებოდნენ კაგბოს, რომელიც საქმეში ერთ-ერთი ეჭვმიტანილი იყო. ბოლოს ის ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციის ფაქტზე დააკავეს.

27 წლის იზა ქავთარაძე ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებული იყო, მოგვიანებით კი სასწავლებლად იტალიაში გაემგზავრა. ის საქართველოში ყოფნის პერიოდში საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის თეატრალური დასის მსახიობი იყო.

წალენჯიხაში უკანონო სახერხი საამქრო გამოავლინეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუჟავაში უკანონო ლენტური ტიპის სახერხი საამქრო გამოავლინეს.

საამქროს სამუშაო ეზოში განთავსებული იყო 22 ერთეული უკანონოდ მოპოვებული წიწვოვანი სახეობის მორი და 26 მ3-მდე წიწვოვანი სახეობის ფიცარი.

სახერხი საამქრო, მორები და პირველადი გადამუშავების პროდუქტი (ფიცარი) დაილუქა.

მომხდარზე მიმდინარეობს სამართალწარმოება.

ქართველი ექთანი საბერძნეთში საავადმყოფოდან გადახტა და დაიღუპა

29 ივნისს, დილით, ქართველი ქალის მცდელობა, რომ საავადმყოფოში შესულ კონტროლის სამსახურს გაქცეოდა, ტრაგიკულად დასრულდა.

ბერძნული მედიის ინფორმაციით, 50 წლის ქართველი ქალი საავადმყოფოში ექთნად არალეგალურად მუშაობდა. როდესაც იქ შემოწმებაზე შევიდნენ, ქალს ძალიან შეეშინდა და იფიქრა, რომ ფანჯრიდან გადახტომით უშველიდა თავს.

ის პირველი სართულიდან გადახტა და დაიღუპა.

როგორც მედია წერს, მას ღამეში 30 ევროს უხდიდნენ, რათა პაციენტისთვის მოევლო, თუმცა, ლიცენზირებული ექთანი არ იყო.

ფანჯარაზე ასული ქართველი ქალი პაციენტებმა დაინახეს.

– ის ძალიან შეშინებული იყო. როდესაც მიხვდა, რომ შემოწმებაზე მოვიდნენ, კონტროლის თავიდან არიდება უნდოდა, მაგრამ არ იცოდა, სად წასულიყო. უცებ ფანჯრიდან გადახტა და იფიქრა, რომ გადარჩებოდა.

ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. იქამდე ის გვესაუბრა და გვითხრა, რომ საქართველოდან იყო. მას არ ჰქონდა ექთნად მუშაობის უფლება და სწორედ ამიტომ შეეშინდა ასე ძალიან, – თქვეს პაციენტებმა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ტრამპი კიმ ჩენ ინს შეხვდა და ჩრდილოეთ კორეაში გადავიდა

გუშინ, 30 ივნისს, დონალდ ტრამპი სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის საზღვარზე მდებარე დემილიტარიზებულ ზონაში ჩრდილოეთ კორეის ლიდერ კიმ ჩენ ინს შეხვდა.

– მიხარია შენი ნახვა კიდევ ერთხელ, – ასე მიმართა ტრამპმა კიმ ჩენ ინს.

აშშ-ის პრეზიდენტმა სადემარკაციო ხაზი გადაკვეთა და ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზე აღმოჩნდა, რის შემდეგაც უკან, დემილიტარიზებულ ზონაში დაბრუნდა.

– ტრამპი აშშ-ის პირველი პრეზიდენტია, რომელიც გვეწვია. ეს ადასტურებს მის სურვილს, რომ ვიმუშაოთ უკეთეს მომავალზე, – განაცხადა კიმ ჩენ ინმა.

ტრამპი დემილიტარიზებულ ზონაში ვერტმფრენით ჩაფრინდა.

ეს ტრამპისა და კიმ ჩენ ინის უკვე მესამე შეხვედრაა. პირველი ისტორიული სამიტი 2018 წელს სინგაპურში გაიმართა.

მაია სანდუ მოლდოვის ფედერალიზაციის წინააღმდეგია

მოლდოვის პრემიერმა მაია სანდუმ განაცხადა, რომ დნესტრისპირეთის რესპუბლიკასთან ფედერაციული შეთანხმების წინააღმდეგია.

თანახმად ამ შეთანხმებისა, დნესტრისპირეთი მოლდოვის შემადგენლობაში ფართო ავტონომიით ბრუნდება. კერძოდ, დნესტრისპირეთის პარლამენტს უფლება ენიჭება, ვეტო დაადოს მოლდოვის მთავრობის ან პარლამენტის ნებისმიერ დადგენილებას, რომელიც რეგიონის ინტერესებს არ შეესაბამება.

– მაპატიეთ და ეს ე.წ. ფედერაციული შეთანხმება სინამდვილეში დნესტრისპირეთის ოკუპაციის დაკანონებაა! ამას შედეგად მოჰყვება არა დნესტრისპირეთის დაბრუნება, არამედ რუსული გავლენის კიდევ უფრო მეტი ზრდა, – ამბობს სანდუ.

მოლდოვის პრეზიდენტი, პრორუსული ორიენტაციის დოდონი კი შეთანხმებას მხარს უჭერს.

– გეთანხმებით, რომ ფედერაცია ცუდია, მაგრამ დღეს სხვა გამოსავალი არ არის, – თქვა დოდონმა.

ევროპაში მაღალი ტემპერატურის გამო 8 ადამიანი დაიღუპა

ევროპაში მაღალი ტემპერატურის გამო 8 ადამიანი დაიღუპა.

უცხოური მედიის ინფორმაციით, 4 ადამიანი საფრანგეთში დაიღუპა, 2-2 კი – ესპანეთსა და იტალიაში.

ექიმები კიდევ რამდენიმე ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას ცდილობენ.

ამასთან, სიცხის გამო საფრანგეთსა და იტალიაში ტყის ხანძრებია, რომელთა ჩაქრობაც ამ დრომდე ვერ ხერხდება.

დიდი ოცეულის სამიტმა მუშაობა დაასრულა

იაპონიის ქალაქ ოსაკაში დიდი ოცეულის სამიტი დასრულდა.

მიღწეულ იქნა შეთანხმება დიდი ოცეულის წევრი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის კონტროლის შესახებ. აღსანიშნავია შეთანხმება ეკონომიკური თანამშრომლობის თაობაზე.

ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ ევროპის ქვეყნებისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის დადებული შეთანხმებაა, რომელიც თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნას ითვალისწინებს.

ამით ევროპამ ერთგვარად სამაგიერო გადაუხადა ტრამპს ევროკავშირის მიმართ წარმოებული პოლიტიკისთვის.

თურქეთი რუსული რაკეტების შესყიდვას მაინც აპირებს

ოსაკაში დიდი ოცეულის სამიტზე ერთმანეთს რუსეთის პრეზიდენტი პუტინი და თურქეთის ლიდერი რეჯეფ ერდოღანი შეხვდნენ. ერდოღანმა კვლავ დაადასტურა, რომ თურქეთი რუსული რაკეტების შესყიდვას მაინც აპირებს.

– მოველით, რომ პირველ პარტიას უკვე ამა წლის ივლისის დასაწყისში მივიღებთ, –თქვა ერდოღანმა.

როგორც ცნობილია, აშშ აღშფოთებულია რუსეთ-თურქეთის ამ გარიგებით. პრეზიდენტმა ტრამპმა შექმნილ სიტუაციას მძიმე უწოდა.

– ამაში არა იმდენად ერდოღანს, არამედ ჩემს წინამორბედ ბარაქ ობამას ვადანაშაულებ! მან თურქეთის მიმართულებას ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია, – თქვა ტრამპმა.

რუსეთში წყალდიდობამ 31 დასახლებული პუნქტი დატბორა

არის მსხვერპლი

რუსეთში, ირკუტსკის ოლქში, კოკისპირულმა წვიმებმა წყალდიდობა გამოიწვია. 32 დასახლებულ პუნქტში დატბორილია 3,7 ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლი, 9 ათას კაცზე მეტი მოსახლეობით.

დატბორილია აგრეთვე სოციალურად მნიშვნელოვანი 32 ობიექტი, 3.747 საკარმიდამო ნაკვეთი და საავტომობილო გზების 17 მონაკვეთი.

5 ადამიანი დაღუპულია.

ყველაზე მძიმე მდგომარეობაა ქალაქ ტულუნში, სადაც დაიტბორა 900-მდე სახლი, რომელშიც 1.771 ადამიანი ცხოვრობს. საგანგებო სიტუაციათა სამინისტრო აწარმოებს სამაშველო სამუშაოებს. ქალაქში, მოსახლეობის დროებითი განთავსების ადგილებში შეიტანეს 4 ტონა ჰუმანიტარული ტვირთი: აქედან 2 ტონა საკვები და 2 ტონა წყალი.

კიდევ 15 ტონა წყლის შეტანა იგეგმება.

რუსეთის მთავრობამ ოლქის დასახმარებლად 662 მილიონი რუბლი გამოყო. დაღუპულის (ან დაღუპულების) ოჯახებს დახმარების სახით მილიონი რუბლი გამოეყოფათ, დაზარალებულებს ნაწილობრივ აუნაზღაურდებათ მატერიალური ზარალიც.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ჯალეიდისკოპი

უზარმაზარი კალმარი ვიდეოზე გადაიღეს



მკვლევარებმა ვიდეოზე უზარმაზარი კალმარი, ან არქიტეუტისი გადაიღეს. ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემის ინფორმაციით, მეცნიერებმა მისი საცეცები აღბეჭდეს.

ოკეანისა და ატმოსფერული კვლევების ეროვნული სამმართველოს სპეციალისტების ჯგუფმა ვიდეოზე ჩაწერა უზარმაზარი არსება, რომლის სიგრძე 3-3,7 მეტრს აღწევდა. ვიდეოზე ჩანს, თუ როგორ ჩნდება უკუნი სიბნელიდან კალმარის საცეცები. მეცნიერები კი ამის მიუხედავად აცხადებენ, რომ მოლუსკი სახიფათო მონსტრს არ წარმოადგენს.

– უზარმაზარი კალმარი მართლაც ძალიან დიდია და ადამიანის აღქმის საზღვრებს ცდება, მაგრამ თუ ვიდეო მისი ხასიათის ზოგიერთ თვისებას წარმოაჩენს, ის აჩვენებს, რომ არსება გაკვირვებული იყო საკუთარი შეცდომით, როდესაც შეეჩეხა ისეთ რამეს, რომელიც არ იჭმეოდა და თავიდან კი მან ის საკუთარ საკვებად მიიღო, – განაცხადეს ზღვის მკვლევარმა ბიოლოგებმა სონკე ჯონსონმა და ედიტ ვიდერმა.

მეცნიერებმა ამ ვიდეოს გადაღება მექსიკის ყურეში 759 მეტრის სიღრმეზე მოახერხეს მოწყობილობა „მედუზას“ დახმარებით. ის წარმოადგენს ფარული კამერების კომპლექტს, რომლებიც ზღვის არსებებს სინათლითა და ხმაურით არ აშინებენ. გარდა ამისა, ის მედუზას იმიტაციას წარმოადგენს და ერთგვარი სატყუარას როლსაც ასრულებს.

ლატარიის გამარჯვებულს ყოფილი ცოლისთვის მოგების გაყოფა დააკისრეს

ამერიკის მიჩიგანის შტატის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ლატარიის გამარჯვებულმა მამაკაცმა თავის ყოფილ ცოლს მოგებული თანხის ნახევარი უნდა მისცეს.

2013 წელს დეტროიტის გარეუბნის მცხოვრებმა რიჩ ზალასკომ ლატარიაში 80 მილიონი დოლარი მოიგო. გადასახადების გადახდისა და სხვა ანგარიშების გამოკლების შემდეგ მას შეეძლო, 38.8 მილიონი დოლარი მიეღო.

იმ დროისთვის მას და მის მეუღლეს მერი ბეტ ზალასკოს განქორწინებაზე განცხადება ჰქონდათ შეტანილი და ორი წელი ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. განქორწინების პროცესი 2011 წლიდან 2018 წლის ჩათვლით გრძელდებოდა. ქონების გაყოფის, ბავშვებზე მზრუნველობისა და ალიმენტის საკითხები სასამართლოში განიხილებოდა.

ვინაიდან რიჩმა ლატარიის ბილეთი მეუღლესთან ოფიციალურად განქორწინებამდე შეიძინა, მისი მოგება ოჯახურ ქონებად ჩაითვალა და მისი შუაზე გაყოფის გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

რიჩ ზელასკო ამ გადაწყვეტილების გაუქმებას ცდილობდა. სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ რიჩი არცთუ იშვიათად კაზინოებში ხარჯავდა ფულს, მეუღლეზე სამჯერ ნაკლებს გამოიმუშავებდა და ადრინდელი გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

ხანდაზმულმა ქალმა მანქანის მართვის ინსტრუქტორი იმსხვერპლა

პოლონეთის სილეზიის ვოევოდინის ქალაქ რიბნიკში ხანდაზმულმა ქალმა მანქანის მართვის ინსპექტორს მანქანა დააჯახა და სასიკვდილოდ დააშავა.

35 წლის მამაკაცი ავტოსკოლაში გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა. პოლიციელების თქმით, სავარაუდოდ, ინსტრუქტორი სხვა მოსწავლესთან მუშაობდა, როდესაც მას 68 წლის ქალი მანქანით დაეჯახა. მიღებული ტრავმებისგან მამაკაცი ადგილზევე დაიღუპა. პენსიონერი ქალბატონი შოკურ მდგომარეობაშია.

ამ დროისთვის პოლიცია სათვალთვალო კამერების ჩანაწერებს სწავლობს და მომხდარს იძიებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

შეეცადეთ წიგნებს!

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

„თქვენი ხელბურთელები ცოდნას ღრუბელივით ისრუტავენ“

უცხოელების თვალით დანახული ქართული ხელბურთი

ქართულ ხელბურთში უცხოელი სპეციალისტები დასაქმდნენ და ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელებს ეხმარებოდნენ. საქართველოს 17-წლამდელ ჭაბუკთა ნაკრები შვედეთში, გეტებორგში მიემგზავრება, სადაც 1-5 ივლისს ევროპის ჩემპიონატზე უნდა ითამაშოს. 19-წლამდელი გოგონები ივლისის ბოლოს (15-21) ლიტვაში მიემგზავრებიან თანატოლთა ევროპის ჩემპიონატზე, ხოლო 17-წლამდელები 3-11 აგვისტოს თბილისში ჩაებმებიან კონტინენტის პირველობაში.

ამ შეჯიბრებებისთვის მზადებაში ქართველ ხელბურთელებსა და მათ დამრიგებლებს 3 მოწვეული სპეციალისტი ეხმარებოდა – ხელბურთის ინდივიდუალური ოსტატობის მწვრთნელი სერბი დამირ სტოიანოვიჩი, ფიზიკური მომზადების მწვრთნელი მარკო შეშუმი და მეკარეთა მწვრთნელი, ბერძენი ვასილის ანასტასელოსი.

საინტერესოა მათი მოსაზრება ქართულ ხელბურთზე.

– საქართველოში როგორც გოგონათა, ასევე ჭაბუკების ნაკრებ გუნდებთან სამუშაოდ ჩამოხვედით. კმაყოფილი ხართ შედეგებით?

დამირ სტოიანოვიჩი:

– ჩვენ თბილისში ჩამოვედით როგორც ჭაბუკების, ასევე გოგონათა გუნდებთან სამუშაოდ, თუმცა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ამოცანა 17- წლამდელი ბიჭების მომზადება იყო, რომლებიც შვედეთში ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებენ.

ჩვენი ამოცანა მათი ტაქტიკურ საკითხებში მომზადება არ ყოფილა. პირადად მე მათ ინდივიდუალურ ოსტატობაზე ვამუშავებდით. ჩემთვის მთავარი იყო საბაზისო ტექნიკის საკითხები: ბურთის ტარება, პასის გადაწოდება, ცრუმოძრაობები, თანაგუნდელებთან კოოპერაცია და ასე შემდეგ.

მარკოს ამოცანა გახურების სხვადასხვა მეთოდების ჩვენება გახლდათ, ვასილისი კი მეკარეთა ტექნიკის საკითხებზე მუშაობდა. მუშაობის პროცესში არანაირი პრობლემა არ შეგვქმნია. 17-წლამდელ ვაჟთა ნაკრების მწვრთნელები გიორგი გვაზავა, გიორგი სახვაძე და გიორგი ხელისუფალი მაქსიმალურად გვიწყობდნენ ხელს. ვცდილობდით ერთმანეთისთვის ცოდნა გაგვეზიარებინა. ჩვენ მათ ვაჩვენებდით, როგორ ვმუშაობთ სერბეთსა და საბერძნეთში, ისინი, თავის მხრივ, ქართულ გამოცდილებას გვიზიარებდნენ.

დაახლოებით ერთი დღე დაგვჭირდა განსხვავებების გადასალახავად. ჩვენ ქართული მეთოდიკისთვის უნდა აგვეღო ალღო, მათ ჩვენი უნდა გაეგოთ, მაგრამ ეს განსხვავებები იოლად დავძლიეთ და ყველაფერი დიდებულად წარიმართა.

– მუშაობის პროცესში ალბათ დადებითსაც გადააწყდით და უარყოფითსაც. ამაზე უფრო დეტალურად ხომ ვერ გვიამბობდით?

– ყველაზე კარგი ის იყო, რომ ხელბურთელებს ვარჯიშებისადმი საოცრად სწორი დამოკიდებულება ჰქონდათ. ისინი ბოლომდე იხარჯებოდნენ და ცოდნას ღრუბელივით ისრუტავდნენ. ვინაიდან დროში შეზღუდულები ვიყავით, ჩვენ მათ ცოტა ხანში ძალიან ბევრი რაღაც მივაწოდეთ. ჩვეულებრივ ამას მეტ დროს ვანდომებთ ხოლმე, მაგრამ დიდი კმაყოფილებით მინდა გითხრათ, რომ მათ ყველაფერი კარგად მიიღეს და აითვისეს.

რაც შეეხება უარყოფითს, ვფიქრობ კარგი იქნება საქართველოში ბავშვები ხელბურთზე უფრო პატარა ასაკიდან თუ დაიწყებენ სიარულს. ჩვენ გვყავდა მოთამაშეები, რომლებიც ამ სახეობაზე 14-15 წლისანი შევიდნენ.

ერთი ძალიან საინტერესო ჭაბუკი, გუგა უთმელიძე, კალათბურთიდან სულ რაღაც 6 თვის გადმოსული იყო. ის ყოველდღე ახალ-ახალ რაღაცას სწავლობდა. ძალიან დაინტერესებული იყო, როგორ შეესრულებინა ესა თუ ის ილეთი და ჩვენ თვალწინ ხვეწდა ოსტატობას. მინდა გავიმეორო, რომ ყველანი ძალიან კონცენტრირებულები იყვნენ და ამიტომ მხოლოდ კარგზე თუ ვილაპარაკებ.

– საინტერესოა უცხოს თვალით დანახული დღევანდელი ქართული ხელბურთი. როგორ ფიქრობთ, რა მიმართულებით გვჭირდება განვითარება, რას უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება?

– ყველაფრის საფუძველი საბაზისო ტექნიკაა. ტაქტიკა და ყველა სხვა საკითხი მხოლოდ მისი ათვისების შემდეგ შეიძლება ისწავლო და თუ დახვეწილი ტექნიკა გაქვს, ყველაფერი გაგიიოლდება. უპირველეს ყოვლისა აუცილებლად უნდა იცოდე, როგორ მოარჯულო ბურთი, როგორ გადააწოდო პასი, როგორ ისროლო კარში.

ჩვენი მთავარი ამოცანაც ქართველი ახალგაზრდებისთვის ამ საკითხების ჩვენება იყო, ისინი კი თავად აირჩევენ, რაზე უნდა იმუშაონ მეტად, რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება, რა მეტად სჭირდებათ და რა ნაკლებად.

– გოგონებზე რაღას იტყოდით?

– დაახლოებით იმავეს, რაც ვაჟებზე ვთქვი. ერთადერთი სპეციფიკა ის არის, რომ მათი ასაკი ძალიან გაფანტულია. ჩვენთან არიან გოგონები 14-დან 20 წლამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ფიზიკურ ძალასა და ტექნიკას შორის განსხვავებაა. შესაბამისად, სწავლების მეთოდების ყველაზე მორგება დაგვჭირდა, მაგრამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ისინი ძალიან მობილიზებულები არიან და დღითიდღე იზრდებიან.

ერთადერთი, შესაძლოა ცოტა ის გაუჭირდათ, რომ დღეში ერთ ვარჯიშს იყვნენ დაჩვეულები, ჩვენ კი ორჯერ ვავარჯიშებთ და ძალიან დიდ ინფორმაციას ვაწვდით. მაგალითად, ცრუმოძრაობებს ერთი დღის განმავლობაში დილით 2 და საღამოსაც 2 საათი დავუთმეთ, მაგრამ ძალიან მონდომებულ ბავშვებთან მუშაობა სასიამოვნო და შედეგიანია.

მარკო შეშუმი:

– ჩემი საქმე როგორც გოგონათა, ასევე ჭაბუკთა მწვრთნელებისთვის იმ ფიზიკური ვარჯიშების გაცნობა და გაზიარება იყო, სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტრავმის პრევენციას, მოთამაშეთა კოორდინაციის ამაღლებას და ეფექტური ძალისმიერი უნარების გამომუშავებას. ამ ყველაფრის უმაღლეს დონეზე დახვეწა შედარებით მწირი საწვრთნელი გარემოს შემთხვევაში რთულია, მაგრამ ქართველ ახალგაზრდებს კარგი მონაცემები შევამჩნიე.

ჩვენ გვყავდა ათლეტური ბიჭები, რომელთაგან ზოგიერთს 16-17 წლის ასაკში უკვე ეროვნულ ნაკრებშიც კი ჰქონდა ნათამაშები, რაც მუშაობაში ნამდვილად სასარგებლო იყო.

– რას იტყოდით ჩვენი გოგონების ფიზიკურ მონაცემებზე? როგორი მუშაობაა მათთან საჭირო?

– ჩვენ გვაქვს გარკვეული ტესტები, რომელთა შედეგებს გავაანალიზებთ და მათზე დაყრდნობით საქართველოს ხელბურთის ფედერაციას საშუალება ექნება მომავალში მოთამაშეთა (როგორც გოგონების, ასევე ბიჭების) შერჩევისას გარკვეული პრიორიტეტებით ისარგებლოს.

ამ ტესტების წყალობით შესაძლებელია საქართველოს სხვადასხვა ასაკის მოთამაშეთა უცხოელ თანატოლებთან შედარებაც. ვფიქრობ, ამ მხრივ, გოგონებს შორის ნორმალური მდგომარეობაა, ვაჟებში კი არის რამდენიმე მაღალი მოთამაშე, მაგრამ საშუალო სიმაღლე მაინც შედარებით დაბალია. ხუმრობით ვიტყვი და იქნებ კალათბურთიდან ღირდეს ყმაწვილების გადმობირება.

მთლიანობაში, საქართველოში ჩატარებული ვარჯიშებით ძალიან კმაყოფილი ვარ. მეტად სასარგებლო თანამშრომლობა გვქონდა ადგილობრივ მწვრთნელებთან. მასპინძლებმა საუკეთესო პირობები შეგვიქმნეს და ზრუნავდნენ, რომ როგორც საქმეში ასევე დასვენების საათებში მაქსიმალურად კომფორტულად გვეგრძნო თავი.

ვასილის ანასტასელოსი:

– ჩემი ამოცანა ქართველ მეკარეებთან და მწვრთნელებთან ერთად მუშაობა იყო. ადგილობრივ სპეციალისტებთან თანამშრომლობით ჩავატარეთ ვარჯიშები. მევალებოდა ქართველი მწვრთნელებისთვის გამეზიარებინა გამოცდილება და მეჩვენებინა ზოგი ინდივიდუალური ვარჯიში. მეკარეთათვის სპეციფიკური ვარჯიშები არსებობს.

კარში დგომა და მეტოქეთა შეტევების მოგერიება სრულიად განსხვავებული პროფესიაა და მას საგანგებო შესწავლა სჭირდება. მოწინავე სახელბურთო ქვეყნებში კლუბებს მეკარეთა ცალკე მწვრთნელები ჰყავთ, რომლებიც თავიანთი მეთოდიკით ამეცადინებენ გოლკიპერებს. სამწუხაროდ, შედარებით ნაკლებად განვითარებულ სახელბურთო ქვეყნებში ასეთი მწვრთნელები არ არიან. მე შევეცადე ჩემი ქართველი კოლეგებისთვის მეჩვენებინა ვარჯიშები, რომლებიც მათ მომავალში გამოადგებათ.

– თბილისში მუშაობის პერიოდში ნიჭიერი მეკარეები თუ შეგხვდათ?

– დიახ, ჩემი ერთ-ერთი ამოცანა ესეც იყო და მინდა გითხრათ, რომ თქვენ გყავთ ნიჭიერი მეკარეები, მაგრამ მათი რაოდენობა მეტი უნდა იყოს. ზოგადად, ქვეყანაში მეტი მეკარე უნდა არსებობდეს, რომ მათ შორის კონკურენციის და მათგან არჩევის საშუალება იყოს.

მომეწონა რამდენიმე გოლკიპერი ბიჭებში, ნიჭი არც გოგონებს აკლიათ, მაგრამ ახლა ვარჯიში და ბევრი მუშაობაა საჭირო. ამ სათუთ ასაკში მათ გონება ხშირად სხვაგან გაურბით, ამიტომ სამუშაოც რთულია.

საქართველო მეშვიდეა

მინსკში მიმდინარე ევროპის თამაშებზე საქართველოს დელეგაცია მედლებს კი აგროვებს, მაგრამ ხარისხი დავარდა და ჩვენმა გუნდმა საერთო ჩათვლაში კიდევ დათმო პოზიციები.

6 ოქრო, 8 ვერცხლისა და 14 ბრინჯაოს მედალი – ასეთია ჩვენი მონაგარი და გუნდურ მე-7 ადგილზე ვიმყოფებით. გადაგვასწრეს ჰოლანდიამ და გერმანიამ, რომელთაც 7-7 ოქრო აქვთ, მაგრამ ჯამში ჩვენზე ნაკლები მედალი (25-25).

ბოლო დღეს, გვაქვს ოქროს მოპოვების შანსი. მანამდე კი ევროპული თამაშების ბოლოსწინა დღეს ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში გათამაშებული მედლების კომპლექტიდან ვერცხლის ჯილდო შმაგი ბოლქვაძემ (67 კგ) დაისაკუთრა. ქართველმა ფალავანმა ფინალის საგზური ავსტრიელი, სერბი და სომეხი მეტოქეების დამარცხებით მოიპოვა. 2016 წლის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოსან ჩვენს ფალავანს გადამწყვეტ შეხვედრაში რუსეთის წარმომადგენელ ზაურ კაბალოევთან მოუწია დაპირისპირება. ოქროს მედლისთვის ორთაბრძოლაში 3:1 გამარჯვება რუსს დარჩა, ბოლქვაძეს კი ვერცხლის მედალი ერგო.

ბრინჯაოს მედლისთვის იჭიდავა 2018 წლის ევროპის ჩემპიონატის მესამეადგილოსანმა დავით ჩხარტიშვილმა (60 კგ). ქართველმა ფალავანმა ერთი დღით ადრე იტალიელ და ხორვატ მოჭიდავეებს მოუგო, ნახევარფინალში კი უნგრელ ერიკ ტორბასთან დამარცხდა, მაგრამ რუმინელ რაზვან არნაუტსთან ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლის შანსი მიეცა, რაც წარმატებით გამოიყენა კიდეც.

მედლებისთვის ბრძოლაში ჩაებნენ რობერტ კობლიაშვილი (87 კგ), რევაზ ნადარეიშვილი (97 კგ) და იაკობ ქაჯაია (130 კგ). მათ შორის, ფინალამდე გაიკვალა გზა მძიმეწონოსანმა ქაჯაიამ. ევროპის ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორმა გადამწყვეტ შეხვედრამდე ლიტველი, აზერბაიჯანელი და ნორვეგიელი ფალავნები დაამარცხა, ოქროს მედლისთვის კი ბელარუს კირილ ჭრიშანკას დაუპირისპირდება.

მერვედფინალში სომეხ არტურ ალექსანიანთან წაგების შემდეგ მე-3 ადგილისთვის ბრძოლის შანსი მიეცა მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოსან რევაზ ნადარეიშვილს (97 კგ). აქ მისი მეტოქე ავსტრიელი დანიელ გასტლი იქნება, მასთან წარმატების შემთხვევაში კი ბრინჯაოს ფინალში რუს ალექსანდრ გოლოვინს შეხვდება.

ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა რობერტ კობლიაშვილმა მინსკში პირველ წრეში წმინდად მოუგო ბერძენ მეტოქეს (10:0), მაგრამ მეოთხედფინალში ბელარუს რაზიკ კულიეუსთან მძიმე ბრძოლაში ქულებით (1:2) დამარცხდა. მომდევნო წრეში თავად კულიეუმ წააგო და ამის გამო კობლიაშვილმა მედლისთვის ბრძოლის შანსი დაკარგა.

საქართველოს ნაკრების მედლების ყულაბას საკუთარი წილი ჯილდო შემატა კარატისტმა გოგიტა არქანიამ (+84 კგ). მომავალმა მედალოსანმა ბელარუს მეტოქეს მოუგო, შემდეგ სერბ და ხორვატ მოწინააღმდეგეებთან შეხვედრა ფრედ დაასრულა. არქანია ნახევარფინალში აზერბაიჯანელ ასიმან გურბანლისთან დამარცხდა, თუმცა ბრინჯაოს მედალი მაინც მოიპოვა, რადგან აქაც, ისევე როგორც კრივში, ნახევარფინალში გასვლა ავტომატურად მე-3 ადგილის ტოლფასია.

სწორედ ასე მოხვდა ბრინჯაოს პრიზიორთა შორის საქართველოს ნაკრების ყველაზე ტიტულიანი წევრი, მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი ოთარ ერანოსიანი (60 კგ). მან ნახევარფინალამდე ფრანგი და აზერბაიჯანელი მეტოქეები დაამარცხა, ფინალში გასასვლელი ბრძოლა კი რუსეთის წარმომადგენელ გაბილ მამედოვთან დათმო. ნახევარფინალში გასვლით ერანოსიანი ბრინჯაოს მედალოსნად გამოცხადდა.

მეორე ევროპული თამაშების ბოლო საშეჯიბრებო დღეს, გარდა იაკობ ქაჯაიასი, ოქროს მედლისთვის იბრძოლებს ჩვენი მოკრივე სახილ ალახვერდოვი (49 კგ). საჩემპიონო დაპირისპირებაში ალახვერდოვის მოწინააღმდეგე სომეხი არტურ ოვანესიანი იქნება.

კოლხეთი სახელმწიფოს — ფული შევჭამეთ, მოგვეცით კიდევ

ქუთაისის ტორპედოს შემდეგ დაშლისა და გაკოტრების პირას არის საფეხბურთო კლუბი ფოთის კოლხეთი.

ზღვისპირულმა კლუბმა სოციალური მედიაში განცხადება გაავრცელა, სადაც კლუბში უმძიმესი ფინანსური კრიზის შესახებ წერს.

–საზოგადოებას გვინდა ვაუწყოთ, რომ ფოთის კოლხეთი 1913, დღეისათვის უმძიმეს ფინანსურ კრიზისში იმყოფება, რადგან გასულ სეზონში, რბილად რომ ვთქვათ, გუნდის ხელმძღვანელთა და სპონსორთა არასწორი მენეჯმენტის გამო მას უამრავი დავალიანება დაუგროვდა, რის გამოც არაერთი სახის მკაცრი სანქციები ემუქრება.

უპირველეს ყოვლისა უახლოესი დღეებში გასასტუმრებელია გასულ სეზონში ჩვენი გუნდის რიგებში მოთამაშე ბურკინა ფასოელი მცველის კრისტიან კაბორეს დავალიანება, რომლის უზრუნველყოფას მსოფლიო ფეხბურთის უმაღლესი საფეხბურთო ორგანო ფიფა აკონტროლებს.

გადაუხდელობის შემთხვევაში, 2 ივლისიდან, ჩვენს გუნდს საფეხბურთო ტრანსფერების განხორციელება წელიწადნახევრის განმავლობაში აეკრძალება, რაც ბუნებრივია გუნდზე უარყოფითად იმოქმედებს, ხოლო დავალიანება, მაინც გადასახდელი დარჩება.

ასევე 15 ივლისამდე გადასახდელია კიდევ 5 ყოფილი ფეხბურთელის დავალიანება, რომლის გადაუხდელობის შემთხვევაში გუნდს, ისევე, როგორც გასულ სეზონში, 6 ქულით დააჯარიმებენ, რაც, დაგვეთანხმებით, კატასტროფის ტოლფასია.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ამ პრობლემების მოგვარებაში აქტიურადაა ჩართული ქალაქ ფოთის მერი ბ-ნი გოჩა კურდღელია, რომელიც ამ თემასთან დაკავშირებით უკვე შეხვდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსნებს. იმედს ვიტოვებთ, რომ იგი მოახერხებს ზემოთ ხსენებული პრობლემების მოგვარებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის პირველი გუნდი, შესაძლებელია, გაქრეს ქართული საფეხბურთო რუქიდან. რასაც, იმედია, ჩვენი ქალაქი არასოდეს დაუშვებს.

* * *

საინტერესო და საგულისხმო განცხადებაა – კლუბი ხელმძღვანელების მიერ სახელმწიფოს მიცემული ფულის „შეჭამას“ კი არ აპროტესტებს, ისევ სახელმწიფოს სთხოვს ფულს, არიქა, ფული მოგვეცით, დავალიანებები გავისტუმროთ, თორემ პირველი ქართული კლუბი რუკიდან გაქრებაო.

მოკლედ რომ ვთქვათ, ქართულ ფეხბურთს ვერც შექმნილმა ფონდმა უშველა. მავნე ჩვენებს, რასაც სახელმწიფოს მიერ გაცემული თანხის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება ჰქვია, ჩვენს ქვეყანაში ვერ გადაეჩვევნენ.

თუმცა, კიდევ უფრო ცუდი ის არის, რომ მსგავსი პრეცედენტის საქმის გამოძიებას არავინ აპირებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ქართულ კლუბებს რუსებთან თამაშს არ აუკრძალავენ

ქართული კლუბების მიერ რუსეთის ოკუპირებული ტერიტორიების გაპროტესტებას ჩრდილოელ მეზობლებში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. რუსები ჩვენი გუნდების ევროტურნირებიდან მოკვეთას ითხოვდნენ. თუმცა, უეფამ მათი თხოვნა არ დააკმაყოფილა.

მეტიც, ქვეყნებს შორის არსებული პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე, უეფა არ აპირებს, ევროთასეების საკვალიფიკაციო თუ ჯგუფური ეტაპების წილისყრისას, ქართული და რუსული საფეხბურთო კლუბები ერთმანეთს აარიდოს.

უეფას პრესსამსახურის განცხადებაში გარკვევით წერია, რომ უეფას აღმასკომის 2014 წლის გადაწყვეტილებით, საქართველოს და რუსეთის გუნდებს ერთმანეთის წინააღმდეგ თამაში კვლავაც შეუძლიათ. ამ გადაწყვეტილების შეცვლა არ იგეგმება.

საქართველო წელს ევროთასებზე ოთხი კლუბითაა წარმოდგენილი. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს მოქმედი ჩემპიონი საბურთალო გამოდის, ევროპალიგის საკვალიფიკაციოში კი – თბილისის დინამო, ქუთაისის ტორპედო და საჩხერის ჩიხურა.

დავითაშვილი რუბინში ითამაშებს

მიუხედავად ქართულ-რუსული ისტერიის ფონისა, 18 წლის ქართველმა ტალანტმა ზურიკო დავითაშვილმა რუსულ საფეხბურთო კლუბ ყაზანის რუბინთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ინფორმაციას ყაზანური კლუბის ვებგვერდი ავრცელებს. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი ყაზანურ კლუბს თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა.

ქართველი ფეხბურთელი აღნიშნავს, რომ რუბინში გადასვლამდე კლუბის ყოფილ მცველს, ლაშა სალუქვაძეს ესაუბრა. ასევე ესაუბრა მოსკოვის ლოკომოტივის ქართველ ფეხბურთელ ხვიჩა კვარაცხელიას.

ზურიკო დავითაშვილი:

– ყაზანში ყველაფერია იმისთვის, რომ პროგრესი განვიცადო. ზამთარში რუბინთან ერთად შეკრება გავიარე, მაგრამ დოკუმენტებთან დაკავშირებული პრობლემის გამო კონტრაქტი ვერ გავაფორმე. რუბინთან კონტრაქტის გაფორმებამდე ლაშა სალუქვაძესა და ხვიჩა კვარაცხელიას ვესაუბრე.

ხვიჩამ ჩემთან საუბარში აღნიშნა, რომ პროგრესისთვის რუსეთის პრემიერლიგა შესანიშნავი ჩემპიონატია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

რვაფეხას გამო ნარკომანმა მანქანა გადააბრუნა

განაჩენი გამოუტანეს ბრიტანელ ნარკომანს, რომელმაც არარსებული რვაფეხას გადასარჩენად ავარია მოახდინა.

49 წლის ჭურჭლის მრეცხავი რობერტ შეიპლი წამლებისთვის გაემგზავრა. თვითმხილველებმა დაინახეს, თუ როგორ გაიქროლა მან დევონის საგრაფოს ქალაქ კენგსბრიჯის რაიონში გზაზე ავტომობილით, რომელსაც გაბარიტული ფარები გამორთული ჰქონდა. მოგვიანებით მისი მანქანა არც ისე შორს, გზის პირზე, გადაბრუნებული ნახეს.

შეიპლიმ პოლიციას განუმარტა, რომ ავარია იმ დროს მოუვიდა, როდესაც რვაფეხასთვის მანქანის არიდებას ცდილობდა. მას ამ ვერსიაზე არც მაშინ უთქვამს უარი, როდესაც პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს. რვაფეხას გარდა, ის ზღვის სხვა ცხოველებსაც ახსენებდა.

პოლიციამ იმის მტკიცებულების მოპოვება ვერ შეძლო, რომ გზაზე მართლაც იმყოფებოდა ზღვის მოლუსკი. შეიპლისთვის ანალიზის აღების შემდეგ მის შარდში 10 სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალების კვალი აღმოჩნდა, მათ შორის ჰეროინის, კოდეინისა და მარიხუანის.

სასამართლომ მამაკაცს 20 თვით მანქანის მართვა აუკრძალა და ნარკოდამოკიდებულებაზე მკურნალობის ერთწლიანი კურსის გავლა დააკისრა.

სამმა ზვიგენმა გოგონა დაგლიჯა

ბაჰამის კუნძულებზე გოგონა რამდენიმე ზვიგენის თავდასხმის შედეგად დაიღუპა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

21 წლის ჯორდან ლინდსი მშობლებთან ერთად ისვენებდა და წყალში ყვინთვით იყო დაკავებული. მათ შენიშნეს, რომ გოგონას რამდენიმე მტაცებელი თევზი უახლოვდებოდა და შეეცადნენ, გაეფრთხილებინათ. ლინდსიმ დროულად რეაგირება ვერ შეძლო და ზვიგენები მას თავს დაესხნენ. მათ გოგონას მარჯვენა ხელი მოაგლიჯეს და ფეხები ძალიან დაუზიანეს. ის დაუყოვნებლივ საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

თვითმხილველების თქმით, მომხდარიდან ერთი საათის გასვლის შემდეგაც კი ხედავდნენ, რომ იმ ადგილზე, სადაც გოგონაზე მოხდა თავდასხმა, ერთი დიდი და ორი შედარებით პატარა ზვიგენი ტრიალებდა. აღსანიშნავია, რომ მაშველების მოსვლამდე გოგონას დახმარებას რამდენიმე დამსვენებელი ცდილობდა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ოჯახს გოგონას დაღუპვის გამო მიუსამძიმრა და მომხდარის გამოძიებას აპირებს, მშობლები კი ფულს აგროვებენ ჯორდანის კალიფორნიაში გადასასვენებლად.

ინდუსები ტაძარში მისულ ნიანგს ეთაყვანებიან

ინდოეთის გუჯარათის შტატში ინდუისტური ქალღმერთის ხოდიარის ტაძარში უზარმაზარი ნიანგი მივიდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს.

ორმეტრიანი რეპტილია ტაძარში გვიან საღამოს მივიდა. ადგილობრივი სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელის თქმით, ის ძლივს მოთავსდა მომცრო ნაგებობაში. ცხოველის სანახავად მორწმუნეებმა მოიყარეს თავი. ვინაიდან ხოდიარის ლეგენდაში ქალღმერთი ნიანგზე ამხედრებული გადაადგილდება, მორწმუნეებმა მისი გამოჩენა კეთილ მინიშნებად მიიჩნიეს და ამიტომ თავდაპირველად ზოოლოგებს მასთან ახლოს არ უშვებდნენ.

– საკმაოდ დიდი ნიანგი იყო, – აღნიშნა სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელმა, – მორწმუნეთა დიდი რაოდენობის გამო, რომლებიც მას თაყვანს სცემდნენ, მისი გადარჩენის საქმეში პრობლემები შეგვექმნა. მეორე პრობლემას ნიანგთან შედარებით პატარა ზომის სამლოცველო წარმოადგენდა.

ამ ყველაფრის მიუხედავად, მეტყევეებმა მაინც მოახერხეს ნიანგის ტაძრიდან გამოყვანა და მისი მახლობელ წყალსატევში გაშვება.

მოშინაურებულმა ვირთხამ პატრონი მოკლა



ბრიტანეთის ოქსფორდშირის საგრაფოს ქალაქ აბინგდონის მცხოვრები მოშინაურებული ვირთხის კბენის შედეგად დაიღუპა. მომხდარის გარემოებები სასამართლო განხილვის საგნად იქცა.

2018 წლის ნოემბერში ვირთხამ 34 წლის სიმონ სტეიპლის თითზე უკბინა. ქალმა ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სისტემის ცხელ ხაზზე დარეკა და იკითხა, როგორ მოქცეულიყო. მას ურჩიეს, ექიმისთვის მიემართა, თუმცა მან ეს საჭიროდ არ ჩათვალა.

მომდევნო ოთხ დღეში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა. სასამართლოზე სტეიპლის ბოიფრენდმა განაცხადა, რომ გარდაცვალების წინ ის დაბნეულივით გამოიყურებოდა და ასევე ამტკიცებდა, რომ კიბეზე შვილს ხედავდა, რომელიც იქ არ ყოფილა. როდესაც ქალი ცუდად გახდა, მამაკაცმა სასწრაფო დახმარება გამოიძახა. მეორე დღეს ის საავადმყოფოში გულის შეტევით გარდაიცვალა.

გარდაცვალების მიზეზი გახდა ე.წ. ციებ-ცხელება განვითარებული ვირთხის ნაკბენისგან ფილტვების ანთებისა და სხვა დაავადებების გამო იმუნიტეტის დაქვეითების ფონზე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გამყიდველის რჩევამ ქალს მილიონი მოაგებინა

ამერიკის მიჩიგანის შტატის მცხოვრებმა ქალბატონმა გამყიდველის რჩევის შედეგად ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა.

60 წლის დონ ზენდტმა განაცხადა, რომ რამდენიმე ლატარიის ბილეთი შეიძინა, რომლებიც მას ავტოგასამართი სადგურის გამყიდველმა ურჩია. ისინი ქალს კინაღამ მაღაზიის დახლზე დარჩა, მაგრამ ყურადღებიანმა გამყიდველმა ბილეთების შესახებ შეახსენა. ზენდტმა ბილეთები მეორე დილით შეამოწმა და გაიგო, რომ მილიონი დოლარი მოიგო.

ქალმა აღიარა, რომ მომხდარს ვერ იჯერებდა და მეუღლეს სთხოვა, ყურადღებით შეემოწმებინა მომგებიანი ციფრები.

ლატარიის გამარჯვებული მოგების ნაწილით სახლის შეკეთებას აპირებს, ხოლო დარჩენილ თანხას სამომავლოდ გადადებს.

მამაკაცმა შვლის ნუკრი დახრჩობას გადაარჩინა

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ საკრამენტოს გარეუბანში მამაკაცმა შვლის ნუკრი წყალში დახრჩობას გადაარჩინა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა.

კეტრინ ურიკის მიერ გადაღებულ კადრებში ჩანს, თუ როგორ მიცურავს მისი სიძე შვლის ნუკრის გადასარჩენად, რომელიც ძლივსღა იმაგრებს თავს წყლის ზედაპირზე. მან ცხოველს ხელი სტაცა და შემდეგ მასთან ერთად ნავთან მიცურდა. იქ მისი ოჯახის სხვა წევრებმა ნუკრს პირსახოცები შემოახვიეს, გაამშრალეს და გაათბეს.

ვიდეოს ავტორმა ასევე აღნიშნა, რომ სხვა ნავში მსხდომებმა გააფრთხილეს, რომ წყალში იმყოფებოდა შვლის ნუკრი და რომ ერთი მათ თავად გადაარჩინეს. მათ ერთად გადაიყვანეს ნუკრები ნაპირზე და დედას დაუბრუნეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვორდი

1. გენიოსზე იტყვიან; 2. წარჩინების ნიშანი; 3. ერთგვარი გომბეშო; 4. თეფში; 5. ბილიარდის ჯოხი; 6. ავი სული; 7. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 8. იტალიური ფიჭვი; 9. მოკლე ორლესული მახვილი; 10. დედალოსის ურჩი შვილი (ბერძნული მითოლოგია); 11. აღგორითმული ენა; 12. საერთაშორისო პოლიტიკური ხელშეკრულება; 13. ზოგი მცენარის ჩანასახი მის გასამრავლებლად; 14. ცილისმწამებლური ნაწარმოები; 15. ჯეი ...; 16. ჩრდილო ამერიკის ინდიელთა ქოხი; 17. ბუნებრივი საღებავი; 18. ბელგიელი კომპოზიტორი (1858-1931); 19. კედლის სანათი; 20. ინგლისური ლუდი; 21. აშშ-ს პოლიტიკური მოღვაწე (1908-1957); 22. სახალხო კრება ძველ საბერძნეთში; 23. აზნაურზე მაღლა მდგომი; 24. აკრძალვა; 25. სპორტის სახეობა; 26. ველის ფოცხვერი; 27. ნოტი; 28. ჰოლანდიის კუნძული მცირე ანტილის არქიპელაგში; 29. ირანის ფულის ერთეული; 30. მსახიობი; 31. ფრანგული ყველი; 32. ქართული გაზეთი; 33. ველური ცხვარი; 34. ესპანური და პორტუგალიური სამანძიანი ხომალდი ძველად.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ხვიჩია; 2. პლომბი; 3. ოჩოკოჩი; 4. დიორამა; 5. კაროჟნა; 7. ციკლონი; 11. ტაქსა; 12. მიქსტი; 13. დასლერი; 14. პარკუჭი; 15. ჰამერი; 17. ნაზუქი; 19. რაჭა.

თარაზულად: 5. კრაველი; 6. ყანჩელი; 8. ბეკი; 9. გოგრა; 10. ჟირაფი; 11. ტიკი; 13. დინამიტი; 14. პაქტი; 16. ანისი; 18. ჰალვა; 20. ჭანჭური; 21. რეაქცია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მესხი; 2. ლეონი; 3. ციპრასი; 4. გენი; 5. შოვი; 6. შილინგი; 9. წუღრუღაშენი; 10. ალტიმეტრი; 11. პეტრიწონი; 14. ვიშნუ; 16. ამება; 18. გრანიტი; 20. კომპასი; 23. ტუბა; 24. ტოლმა; 25. ეგერი; 26. დასი.

თარაზულად: 7. ბიფშტექსი; 8. კორონაცია; 12. წაბლი; 13. კეინი; 15. ჰერში; 17. შიომღვიმე; 19. შაშვი; 21. ბადრო; 22. ონიმა; 27. სტომბოლი; 28. მერსედესი.

ასტროპროგნოზი

1 ივლისისათვის

ვერძი – მეგობრებთან ერთად დროს მხიარულად გაატარებთ. საღამოს საოჯახო საქმეები მოაწესრიგეთ. მცირედი კონფლიქტი გელით ახლობელთან. ** კურო** – თქვენს გეგმებს ნურავის გაანდობთ. იზრუნეთ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. **ტყუპები** – შემოქმედებითი პოტენციალი ქვეითდება. დაუფიქრებლად ნურაფერს იტყვით. **კირჩხიბი** – ემოციურად არასტაბილური დღეა. თავისუფლებას ნუ შეიზღუდავთ. სხვის საქმეში ჩარევა არასასურველი შედეგით დამთავრდება. **ლომი** – ეცადეთ, საკუთარი შესაძლებლობები სრულად წარმოაჩინოთ. საქმიან ქაღალდებს ხელს ნუ მოაწერთ. **ქალწული** – ჰარმონიული დღეა. იზრუნეთ საკუთარ თავზე. დაისვენეთ და გაერთეთ. **სასწორი** – ინტიმურ სფეროში იმედგაცრუება გელით. საპირისპირო სქესის მიერ გამოჩენილი ყურადღება თქვენ მიმართ ილუზიაა. **ღრიანკალი** – გაღიზიანებული ხართ. არავითარ შემთხვევაში არ აჰყვეთ ემოციებს. გონიერება დღის დევიზია. **მშვილდოსანი** – იყავით მშვიდი და გაწონასწორებული. აჩქარებით საქმეს გააფუჭებთ. **თხის რქა** – რადიკალურ გადაწყვეტილებებს დღეს ნუ მიიღებთ. საქმიან პარტნიორთან ურთიერთობაში ნუ გარისკავთ. **მერწყული** – შემოქმედებითი და სოციალური კონტაქტებისათვის კეთილისმყოფელი დღეა. სხვისი აზრის გათვალისწინებას ვარსკვლავები არ გირჩევენ. **თევზები** – ახალი იდეების ხორცშესხმას იდეალურად შეძლებთ. რომანტიკული შეხვედრა ემოციურ სტაბილურობას შეგიქმნით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ანიტა რაჭველიშვილი საპროტესტო აქციებში ჩაერთო

ოპერის მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი საქართველოში ჩამოვიდა და საპროტესტო აქციებში ჩაერთო.

ანიტამ მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდების მიერ დაგეგმილ თავისუფლების მარშში და პარლამენტის წინ შეკრებილებისთვის გია ყანჩელის „ჰერიო ბიჭებოც“ იმღერა.

ანიტა შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას თანამდებობიდან წასვლას ითხოვს.

წმინდა ილია მართლის სახელობის ეკლესიაზე სასქესო ორგანოები დაახატეს



თბილისში წმინდა ილია მართლის სახელობის ეკლესიაზე ვანდალიზმი განხორციელდა. აგრარული უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ეკლესიის ფასადზე დაუდგენელმა პირებმა მამაკაცის სასქესო ორგანოები დაახატეს.

ინფორმაცია და ფოტო ინტერნეტში მაია დვალიძემ გაავრცელა:

– ლიბერალიზმის შედეგი!

ამის გამკეთებელი ადამიანს რაღას უზამს?!

გაახილეთ, ხალხო, თვალი, შედეგების მკა დავიწყეთ... თუ მივუშვით, უარესი გველის წინ, ვიდრე შარშანდელი მაისი და წლევანდელი ივნისია...

ამ შედეგების გამოსწორება ყველას ვალია!

არ გვაპატიებს ამდენს უფალი!

თბილისის შემოსასვლელში, დიღმის ტრასაზე მდებარე ტაძარია... ბენდუქიძის სასწავლებელთან...

ნინო ქათამაძე რუსეთში კონცერტებს აღარ ჩაატარებს

მომღერალი ნინო ქათამაძე რუსეთში კონცერტებს აღარ ჩაატარებს, 22 ივნისს გამართული კონცერტისთვის კი ბოდიშს იხდის:

– ჩემო ძვირფასო მსმენელო და უმაგრესო ადამიანებო, ვინც 10 დღეა აპროტესტებთ ძალადობასა და უსამართლობას, პირველ რიგში, მოგმართავთ თქვენ.

ჩემი გული, ჩემი სიტყვა, ჩემი ხმა და პროტესტი თქვენთან არის! ჩემი სიჩუმე არ ნიშნავს იმას, რომ რაიმე მქონდა საფიქრალი და გადასაწყვეტი. პირველივე წამიდან ვგრძნობ იმას, რასაც თითოეული თქვენგანი გავრილოვის სპიკერის სავარძელში ხილვისას!

არასოდეს მომრიდებია ძალადობისა და უსამართლობის წინააღმდეგ წასვლა, არასოდეს დამეზარა და ჩემი ხმით ქართულად მსოფლიოს ყველა ნაწილში და მათ შორის რუსეთშიც ყოველთვის ვამბობ, რომ რუსეთი ოკუპანტია, პუტინი ჩემი ქვეყნის მტერია და, მაშასადამე, ჩემი მტერიც!

ერთია ჩემი საგასტროლო გრაფიკი და მეორეა ჩემი შინაგანი შეგრძნება ჩემი ქვეყნის, ქართული სიტყვის, მუსიკის წინაშე. ჩემს ხელში მხოლოდ ეს იარაღია, მხოლოდ ამით შემიძლია ვუთხრა ჩემს მსმენელს ის ტკივილი, რაც ჩემს ქვეყანას სტკივა. იმ უამრავ მსხვერპლს, რაც საქართველოს გაუღია თავისუფლებისთვის, კიდევ რამდენიმე ახალგაზრდის თვალისჩინი დაემატა და ადამიანი, რომელიც ამ წუთამდე უმძიმეს მდგომარეობაშია, თითოეული მტკივა და თითოეულს ვგრძნობ დღე და ღამე!

ბოდიშს ვიხდი, ჩემო ძვირფასებო, რომ არ ვიდექი თქვენთან ერთად იმ ღამეს, რომ ვერ დაგიცავით ფიზიკურად და ერთ ტყვიაშიც ვერ შეგეხიდეთ. არჩევანი რომ მქონდეს, უყოყმანოდ მივიღებდი ყველა იმ ტყვიას, რაც თითოეულ თქვენგანს მოგხვდათ ოკუპაციის გაპროტესტებისთვის.

დიახ, რა თქმა უნდა, გახარია უნდა გადადგეს და ეს მოთხოვნა სრულიად ჯანსაღი და ლეგიტიმურია. ზუსტად მესმის საზოგადოების ჯანსაღი კრიტიკა ჩემ მიმართ და ვიზიარებ თითოეულ შენიშვნას. ამ პოსტის შემდეგაც მზად ვარ, მოვისმინო და წავიკითხო ყველას აზრი, თუნდაც ყველაზე მძიმე ფორმით გადმოცემული!

ჩემი ცხოვრების უმძიმესი დღე – 20 ივნისი და უმძიმესი კონცერტი – 22 ივნისი, რომელზეც უარი მხოლოდ უსინათლო 9 წლის გოგოს გამო ვერ ვთქვი. მე ამ კონცერტზე ვთქვი და თქვენც მინდა გითხრათ, ეს ჩემი ბოლო კონცერტი იყო რუსეთში!

მინდა, რომ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც 10 დღეა ქვეყნის სამსახურში 19:00 საათიდან იკრიბებიან, ვუთხრა: არასდროს ჩემს გულში სამშობლოს ღალატი არ ყოფილა, არასოდეს რუსულად არ მიმღერია, არასოდეს სამთავრობო (რუსეთში) დაფინანსებულ კონცერტში მონაწილეობა არ მიმიღია, არ მიმღერია არც ერთი რუსი პოლიტიკოსის დაბადების დღეზე. ჩემი მუსიკა ეკუთვნის, უბრალოდ, ადამიანებს, განურჩევლად ეროვნებისა, რასისა, რელიგიისა და სექსუალური ორიენტაციისა!

ამ პოსტით მინდა, ჩემი პროტესტი გამოვხატო, პირველ რიგში, ხელისუფლების მიმართ, შევუერთდე მოთხოვნას, რომ გახარია უნდა გადადგეს! რუსეთი ოკუპანტია, პუტინი – ჩვენი საერთო მტერი! თითოეული თქვენგანის სახის დანახვისას, თითოეული თქვენი ქცევისას ყურებში მკაფიოდ ჩამესმის დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის ზურაბ ჟვანიას ხმა: „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“.

მხოლოდ თქვენ ხართ ნათელი გამოხატულება ევროპელი ქართველისა, თქვენ დაამტკიცეთ, რომ საქართველოს მომავალი ევროპაშია და ამას ვერასოდეს ვერავინ ვეღარ შეცვლის.

უდიდესი მადლობა თქვენ ამისთვის, ქედს ვიხრი თქვენი თავდადების წინაშე.

მაია დარსმელიძე: „რუსეთი მტერია!“

მომღერალი მაია დარსმელიძე მიიჩნევს, რომ რუსეთი ოკუპანტი და მტერია, ანტისაოკუპაციო პატრიოტული პროტესტის ადამიანების დასახიჩრებით დარბევა კი ღალატი და რუსეთის ვაზელინობაა:

– რუსეთი ოკუპანტია.

რუსეთი მტერია.

რუსეთის დუმის დეპუტატის საქართველოს პარლამენტის სავარძელში ჩადებული ტრა.ი მხოლოდ პანღურს იმსახურებს.

ანტისაოკუპაციო პატრიოტული პროტესტის ადამიანების დასახიჩრებით დარბევა არის ღალატი და რუსეთის ვაზელინობა.

გახარია უნდა გადადგეს.

პარტიებს მნიშვნელობა არ აქვს და ქოცებსაც ოდესმე რომ ჩაეტარებინა ანტისაოკუპაციო აქციის მსგავსი, ყველა აქციაზე მივიდოდი.

თავს ნუ იტყუებთ: ქოცები მსგავს აქციას არასოდეს ჩაატარებენ...

ვინც ვინმეს პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიით სპეკულირებს მიმსვლელთა რაოდენობის შემცირების მიზნით, არის მოღალატე ქოცი და რუსეთუმე პრო.ი.

როდესაც ყველა ვთანხმდებით, რომ რუსეთი ოკუპანტია, რუსეთი მტერია, შემდგომ ხსენებული ყველა „მაგრამ“-ის დედას შევე.ი...

მაქსიმალურად ვცდილობ, არ ვიგინო, მაგრამ არ გამომდის.

დიტო ცინცაძე ახალგაზრდებს: „მინდა, სრული სოლიდარობა გამოგიცხადოთ“

რეჟისორმა დიტო ცინცაძემ ახალგაზრდებს სრული სოლიდარობა გამოუცხადა და მათ სიყვარულში საჯაროდ გამოუტყდა:

– მინდა, სრული სოლიდარობა გამოგიცხადოთ, მართლა ვამაყობ თქვენით, იმიტომ, რომ თქვენი სამართლიანი პროტესტი არის აბსოლუტურად გამართლებული.

ის, რაც პარლამენტში მოხდა, წარმოუდგენელი რამ არის. როგორ ვერ ხვდება ხელისუფლება და პოლიტიკოსების მთელი სპექტრი, ერთხელ და სამუდამოდ როგორ ვერ დავადგინეთ ის, რომ პუტინის რუსეთი არის ჩვენი მტერი და მან დაიპყრო ჩვენი ტერიტორიის 20%.

რა ურთიერთობაზე, რა პარლამენტარების დაპატიჟებაზე და პლუს მათი ჩვენი პარლამენტის შენობაში შეთრევაზეა საუბარი. ეს ხომ ან შეცდომაა, ან დანაშაული?!

ახალგაზრდები, რომლებიც შეშფოთდნენ ამ ფაქტით, გამოვიდნენ გარეთ მშვიდობიანი პროტესტისთვის და ამისათვის დაისაჯნენ. უკვე მერამდენედ ხდება ახალგაზრდების დარბევა.

დეტალები შეიძლება ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ჩემი თაობის პოლიტიკოსები ნელ-ნელა უნდა ჩამოგვცილდნენ... ჩვენ ისეთი ცხოვრება გვაქვს, ისეთი რამ გვინახავს, რომ თავისუფლები ვერ ვიქნებით. მივცეთ საშუალება ახალგაზრდებს, რომ თავისი განათლება, თავისი ნიჭი, თავისი სისუფთავე, რაც ჩვენ აღარა გვაქვს, გამოიყენონ და ააშენონ მართლა ცივილიზებული, კარგი, ბედნიერი საქართველო. მივცეთ მათ ამის შესაძლებლობა, კი არ დავსაჯოთ და კი არ ვეჩხუბოთ მათ...

სრულ სოლიდარობას გიცხადებთ თქვენს მშვიდობიან პროტესტში და ძალიან მიყვარხართ!

ილიკო სუხიშვილი: „ვინც მეტს ლაპარაკობს პატრიოტობაზე, მით უფრო ნაკლებად მჯერა მისი გულწრფელობის“

ანსამბლ „სუხიშვილების“ ხელმძღვანელი ილიკო სუხიშვილი საპროტესტო აქციას შეუერთდა და თავისი პოზიცია საჯაროდ დააფიქსირა:

– თითქოს რწმენა დავკარგე იმ ხალხის, ვინც არ უფრთხილდება თავის საზოგადოებას და იმეტებს. ეს მარტო დღეს ხომ არ მომხდარა? აღშფოთებული ხალხი, რომელიც დღეს დგას და იძახის, ეს რა ვნახეთო, მათ დროსაც მომხდარა ძალადობები.

მნიშვნელობა არ აქვს ამას. აქ ორივე შემთხვევაში ხალხი იჭყლიტება და ხალხია დაშავებული. ერთმანეთს უმტკიცებენ უაზრობებს, რომ რადგან მათ დააშავეს, ჩვენც შეგვიძლია დავაშავოთო, შუაში კი დგას ხალხი. გულწრფელობა არ ჩანს, ვინც მეტს ლაპარაკობს პატრიოტობაზე, მით უფრო ნაკლებად მჯერა მისი გულწრფელობის. სათითაოდ აქ მდგარი ხალხის სამშობლოსადმი სიყვარული უფრო გულწრფელია, ვიდრე მთლიანად აღებული მთავრობების და პარტიების. სათითაოდ თითო ადამიანი, რომელიც აქ დგას, მისი გულწრფელი სიყვარული უფრო მეტია, ვიდრე პარტიები და მთავრობები, რაც კი ოდესმე ყოფილა ამ ქვეყანაში.

პირველ რიგში, არის ადამიანი და ადამიანს უნდა გავუფრთხილდეთ. არ აქვს მნიშვნელობა, ბრძანება ვინ გასცა, თუ არსებობს ისეთი ხალხი, ვინც შინაგანად გწირავს და შეუძლია გაგწიროს და პირდაპირ მოსაკლავად გაგწიროს, ეგ არის პრობლემა, რომ ასეთი ხალხი არსებობს, ამის შემსრულებელი ხალხი არსებობს. ნებისმიერ დროს იყო და ახლაც ყოფილა ეს ხალხი, მათ შინაგანად შეუძლიათ, გაწირონ თავიანთი თანამოქალაქე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალეიდოსკოპი

შვეულმფრენმა საცობში გაჭედილი მილიონერი გამოიყვანა

ერთ-ერთი ავტომობილის მგზავრმა, რომელიც ნიგერიის ქალაქებს ლაგოსსა და ბენინსიტის შორის მდებარე გზაზე საცობში იყო გაჭედილი, იქაურობა შვეულმფრენის დახმარებით დატოვა.

ავტომობილები რამდენიმე საათი იდგნენ საცობში, რომელიც ონდოს შტატის ქალაქ ორეს მახლობლად წარმოიქმნა. მძღოლების გასაკვირად, ერთ-ერთი ავტომობილის მახლობლად შვეულმფრენი დაეშვა, მგზავრი აიყვანა და გაფრინდა.

თვითმხილველის მიერ გადაღებული ვიდეო სოციალურ ქსელებში დიდი მსჯელობის საგნად იქცა. ბევრმა ივარაუდა, რომ შვეულმფრენი საცობისგან შეწუხებულმა მილიონერმა გამოიძახა. ნიგერიელმა მსახიობმა დეიემი ოკანლავონმა დაწერა, რომ ვიღაც მოღვაწემ საცობიდან თავისი შეყვარებულის გამოყვანა გადაწყვიტა და მომხდარს უკანონობა უწოდა.

ადგილობრივმა მასმედიამ კი ივარაუდა, რომ შვეულმფრენით მეწარმე ჯულიან ოსულამ ისარგებლა, რომლის ფირმა ფუფუნების საგნებით ვაჭრობს. მან ეს ვერსია ერთ-ერთ გამოცემასთან ინტერვიუში უარყო.

ქალმა თაღლით ქილერს პოლიციაში უჩივლა

ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში ქალი და მისი მოზრდილი ქალიშვილი მას შემდეგ დააპატიმრეს, რაც პოლიციაში მისულებმა თავიანთ დაქირავებულ მკვლელს უჩივლეს.

ქალი ამტკიცებდა, რომ მისმა შეყვარებულმა თაღლითურად მიითვისა მისგან 60 ათას ევროზე მეტი. მან ამის შესახებ თავის ქალიშვილს უამბო. მან, თავის მხრივ, საქმის კურსში თავისი ქმარი ჩააყენა. მან მამაკაცის მოკვლა საკუთარ თავზე აიღო.

მან განაცხადა, რომ ესპანეთის სპეცსამსახურს მეთაურობდა და საკუთარი მომსახურებისთვის ავანსად შვიდი ათასი ევრო მოითხოვა. ის ფიქრობდა, რომ მოკლულის ორგანოები 60 ათას ევროდ გაიყიდებოდა და ამით ზარალის ანაზღაურება შესაძლებელი გახდებოდა.

როდესაც მკვლელობა არ შედგა, ქალმა პოლიციაში განცხადება დაწერა თავის თაღლით შეყვარებულსა და სიძეზე, რომელიც მის მოკვლას დაპირდა, მაგრამ ეს საქმე არ გააკეთა. შედეგად დაპატიმრებულები არიან როგორც სიძე, ისე ქალი და მისი ქალიშვილი. მათ მკვლელობისკენ წაქეზება ედებათ ბრალად.

გარეული ცხოველები ნეპალელებს ხოცავენ

ერთი წლის განმავლობაში გარეული ცხოველების მიერ მოკლული ნეპალელების რაოდენობა ერთ-ნახევარჯერ გაიზარდა.

ნეპალის ეროვნული პარკებისა და ბუნების დაცვის სამინისტროს მონაცემებით, მიმდინარე ფინანსურ წელს ცხოველების თავდასხმის შედეგად 28 ადამიანი დაიღუპა. 8 მოკლეს სპილოებმა, ექვსი – მარტორქებმა, შვიდი – ლეოპარდებმა, ოთხი – ვეფხვებმა, თითო ადამიანი კი იმსხვერპლეს ჭაობის ნიანგმა, წითელმა მგელმა და ტახმა.

გარდა ამისა, ცხოველებმა დააშავეს 112 ადამიანი, მათგან 99 – სერიოზულად. მათმა უმეტესობამ ტრავმები დათვებთან, ტახებთან და ლეოპარდებთან შეხვედრის შედეგად მიიღო. 12 ადამიანს თავს სპილო დაესხა, 10-ს – მარტორქა, ერთმა ადამიანმა კი ნიანგის თავდასხმის მოგერიება შეძლო.

აღსანიშნავია, რომ გასულ ფინანსურ წელს გარეული ცხოველებისგან 17 ადამიანი დაიღუპა, ანუ წლევანდელზე 40 პროცენტით ნაკლები.

ბელებიანი დათვი პენსიონერს თავს დაესხა

სლოვენიის ქალაქ ლუბლიანას გარეუბანში დედა დათვი პენსიონერ ქალს თავს დაესხა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

აღნიშნული ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. დათვი, რომელსაც ორი ბელი ახლდა, 80 წლის ქალს მის სახლთან თავს დაესხა. ქალმა უმნიშვნელო დაზიანებები მიიღო და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ადგილობრივი ხელისუფლება ცხოველის პოვნასა და მოკვლას აპირებს, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ასეთი პირველი შემთხვევა არ არის ამ რაიონში. ასევე მათ ადგილობრივებს თხოვნით მიმართეს, რომ დილისა და ღამის საათებში სახლიდან გარეთ გამოსვლას მოერიდონ.

სლოვენიის ხელისუფლება ასევე აპირებს, შეიმუშაოს კანონი ათეულობით მგლისა და დათვის განადგურების მიზნით, ვინაიდან მათმა რაოდენობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა დასაშვებ ნორმას. ბუნების დამცველები კი ასეთი კანონის მიღების წინააღმდეგ გამოდიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

1 ივლისისთვის

აშშ დოლარი — 2.8687

ევრო — 3.2657

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6384

100 რუსული რუბლი — 4.5482

ამინდის პროგნოზი 1 ივლისისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

25 ივნისიდან

ჟიულ ვერნი

20 000 ლიე წყალქვეშ

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

2 ივლისიდან

ანა სიუელი

მშვენიერი შავრა

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ანეკდოტი

ერთი მამაკაცი მეორეს ეუბნება:

– ამბობენ, რომ შავგვრემანი ქალები ქერათმიანებზე ტემპერამენტიანები არიან...

– არ დაიჯერო! ჩემი ცოლი ქერათმიანიც იყო და შავგვრემანიც, მაგრამ – არანაირი განსხვავება.

•••

რუსი ტურისტი ქალი ამერიკაში ჩავიდა, სასტუმროში დაბინავდა და გადაწყვიტა, დედიშობილა გარუჯულიყო. ავიდა სასტუმროს სახურავზე, გაშიშვლდა და სახურავზე დაწვა. გარკვეული დროის შემდეგ მასთან სასტუმროს თანამშრომელი მივიდა და ეუბნება:

– მომიტევეთ, თუ შეიძლება, სასტუმროს ადმინისტრაციას არაფერი აქვს იმის საწინააღმდეგო, რომ სახურავზე გაირუჯოთ, მაგრამ, გთხოვთ, საცურაო კოსტიუმი ჩაიცვათ.

ქალმა პირსახოცი აიფარა და ეკითხება:

– ასე შეიძლება?

– გთხოვთ, საცურაო კოსტიუმი ჩაიცვით.

– რატომ?

– იცით რა, ახლა სადილის დროა, თქვენ კი რესტორნის შუშის სახურავზე წევხართ.

•••

ახალბედა პარაშუტისტს ჟურნალისტი ეკითხება:

– აბა, თავს როგორ გრძნობდით თქვენი პირველი ნახტომის დროს?

– ჩიტივით!

– ეგ როგორ?

– მოვფრინავდი და ვასკლინტავდი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თვითმხილველები დინოზავრებთან შეხვედრებზე საუბრობენ

დროდადრო ექსპერტები სიგნალებს იღებენ აფრიკიდან და სამხრეთ ამერიკიდან, რომ თითქოსდა იქ ნამდვილი დინოზავრები დადიან, ზოგჯერ კი უცნაურ არსებებზე ინფორმაციას უფრო ცივილიზებული ადგილებიდანაც იღებენ, მაგალითად, ჩრდილოეთ კანადიდან ან აშშ-ის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებიდან.

თვითმხილველთა მონაცემების თანახმად, „ოთხი კუთხის ზონაში“ (ადგილი აშშ-ში, სადაც კოლორადოს, იუტის, არიზონისა და ნიუ-მექსიკოს შტატების საზღვრები ერთ წერტილში იყრის თავს) ისტორიამდელ არსებებს ხედავენ. მაგალითად, სოფლის დასახლებაში შენიშნეს ფრინველი, რომელიც ძალიან ჰგავდა პტეროდაქტილს. მან დასახლებას გადაუფრინა, რა დროსაც რამდენიმე ფერმერმა ცეცხლიც კი გაუხსნა.

2011 წელს ფრინველი, ბუმბულების გარეშე, არიზონის შტატის ქალაქ ფინიქსის თავზეც შენიშნეს. ის მოულოდნელად მდინარეში ჩავარდა, რომელშიც ისე ფართხალებდა, თითქოს ბანაობდა.

2012 წელს პტეროდაქტილი პატარა ქალაქ ტუსონში შენიშნეს. მისი გაშლილი ფრთების სიგრძე რამდენიმე მეტრს აღწევდა. აღსანიშნავია, რომ „ოთხი კუთხის ზონაში“ ხედავდნენ არა მხოლოდ ისტორიამდელ ფრინველებს, არამედ ველოციერაპტორის მსგავს დინოზავრებსაც. ასეთი ინფორმაციები ძირითადად კოლორადოდან მოდის. ყველა ადამიანი ერთსა და იმავე არსებას აღწერს (მასიური უკანა კიდურები, მოკლე, თხელი წინა კიდურები და ა.შ.).

მეცნიერებს უჭირთ ასეთი ინფორმაციებზე კომენტარის გაკეთება. გაურკვეველი რჩება, ეს, უბრალოდ, მასობრივი ჰალუცინაციაა თუ დედამიწაზე მართლაც დააბიჯებენ ისტორიამდელი ხვლიკები.

ნიანგს გადარჩენილი ანტილოპა ძაღლების მსხვერპლი გახდა

ბოტსვანის ერთ-ერთ საფარი პარკში ანტილოპა გიენისებურმა ძაღლებმა დაგლიჯეს. ეს მას შემდეგ მოხდა, როდესაც მან ნიანგის ყბებისგან თავის დაღწევა მოახერხა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეოს კადრებში ჩანს, თუ როგორ ცდილობს ნიანგი, ანტილოპას ცხვირზე უკბინოს. ეს უკანასკნელი ცდილობს, თავს ცურვით უშველოს, რეპტილია კი მისდევს და უკანა ფეხებზე კბენს, ერთ მომენტში წყლის სიღრმეშიც ირევს, მაგრამ ანტილოპა მაინც ახერხებს მისგან თავის დაღწევას.

ამ ყველაფერს ნაპირიდან თვალს გიენისებური ძაღლების ხროვა ადევნებს, ხოლო როგორც კი ანტილოპამ ხმელეთზე გამოაღწია, მას თავს დაესხნენ, მიწაზე დააგდეს და დაგლიჯეს.

ვიდეოს ავტორის თქმით, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გიენისებური ძაღლები ყველაზე წარმატებული და ეშმაკი მონადირეები არიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კლინიკური სიკვდილის გადამტანი ქალი საიქიოზე ალაპარაკდა

ამერიკის არიზონის შტატის ქალაქ ფინიქსის მცხოვრებმა ქალბატონმა კლინიკური სიკვდილი გადაიტანა და შემდეგ გადატანილ შეგრძნებებზე ისაუბრა.

2018 წლის თებერვალში თინა ჰაინს გულის შეტევა დაემართა. მეუღლემ ბრაიანმა მას გულისა და ფილტვების რეანიმაცია ჩაუტარა, მაგრამ მალე ქალს გული ისევ გაუჩერდა. ქმარმა სასწრაფო დახმარება გამოიძახა. ადგილზე მისულმა პარამედიკოსებმა ქალის გული საავადმყოფოში მიყვანამდე კიდევ რამდენიმეჯერ აამუშავეს. ექიმების თქმით, თინას გული 27 წუთის განმავლობაში, ფაქტობრივად, მკვდარი იყო.

საავადმყოფოში ექიმებმა დეფიბრილატორი გამოიყენეს და ქალი, რომელსაც წვეთოვანი ჰქონდა დადგმული და ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის აპარატზე იყო შეერთებული, გონს მოვიდა. მან ექიმს ქაღალდი და საწერკალამი სთხოვა და დაწერა: „ეს სიმართლეა“. თინას ჰკითხეს, თუ რას გულისხმობდა და მან ზეციისკენ მიანიშნა.

როდესაც ქალმა ლაპარაკი შეძლო, საიქიო ცხოვრება აღწერა.

– ყველაფერი ისე იყო, როგორც სინამდვილეში, ფერები უფრო მკვეთრი და კაშკაშა იყო, – განაცხადა ქალმა. ის ამტკიცებს, რომ ნახა შავი კარის წინ მდგარი ფიგურა, რომელიც იესოს ჰგავდა, კარს მიღმა კი ყვითელი სინათლე მოჩანდა.

თინა ჰაინსის ისტორია მისმა ნათესავმა მედი ჯონსონმა აღწერა და გაავრცელა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვორდი



თარაზულად: 6. რაიმე სიტყვის მსგავსი სიტყვა (მაისი-დაისი); 7. ადამიანის სულიერ ძალთა ერთობლიობა; 8. კაუსტიკური სოდა; 9. სატრფიალო პოეზიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 10. მსხლის პარაზიტი მცენარე; 13. ... ჩეხოვი; 15. თავისებური მაღალი ხმა გურულ სიმღერებში; 18. ოხერი, ტიალი; 20. პატარა ზომის ცხენის ჯიში; 21. წყაროს წყალი; 23. საქონლის ექიმი; 24. მეგრული საჭმელი.

შვეულად: 1. იტალიური ყველი; 2. მინერალი; 3. ტენის მოყვარული რბილმერქნიანი ხე; 4. ტაძარი თბილისში; 5. პატარა ჩქარტემპიანი მუსიკალური ნაწარმოები; 11. სოფია ... (მომღერალი); 12. ახალი, დაუდუღარი ღვინო; 14. ერთეული ვექტორი; 16. ნაშრომის მოკლე შინაარსი დასკვნის სახით; 17. სპორტული რბოლა მოტოციკლებით; 19. ავაზა ანუ ...; 21. ბანქოს ერთგვარი თამაში; 22. ჭადრაკის ფიგურა.

შეადგინა ოლივერ კოხიამ

ХАН ЧАН ЗАН + МА ИН ДОН

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ

ЖИЗН ЗИ ЗАН

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი

ВЭЙ ФУ ДИ ЖУАНЬ ЗАН + СУН СЫО

აუმჯობესებს პოტენციას

ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/